ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 31 აგვისტო, 2015 1203 (6823) აფცბ5 №) სტსჰბ

## „ვხედავდით, როგორ მოფრინავდა ლიფტი“

გვ.4



# ინგა გრიგოლიას „რეაქციის“ დახურვა „იმედის“ დახურვას ნიშნავს



„იმედმა“ პოლიტიკური დავალება შეასრულა

„იმედის“ განცხადება ძალიან გაუმართავი ტექსტით იყო დაწერილი. მასში იყო გრამატიკული შეცდომები და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო ძალიან ნაჩქარევი, ნაუცბათევი განცხადება

გვ.2-3

## ინგა გრიგოლია: „რეაქცია“ სხვა არხზე გავა“

## სოსო ცინცაძე: ნატოს სასწავლო ცენტრის თაობაზე რუსეთის შეშფოთება პუტინის პროპაგანდის ნაწილია“

გვ.4



„თუ რუსეთმა მაინც გადაწყვიტა, ამას ტანკებით უპასუხოს, ამ შემთხვევაში უკვე ვალდებულებას ნატო იღებს“



გვ.7

## ლევან გვაზავას საბედისწერო გასროლა

## ვის ინტერესებს ემსახურება ეროვნული ბანკის კანონზე გამოყენებული პრეზიდენტის ვეტო

გვ.5



ISSN 1987-9385
9 771987 938006

## გაათავისუფლეთ დელფინები!

თავდასხმა ბათუმის დელფინარიუმზე

გვ.3



# ინგა გრიგოლიას რეაქციის“ დახურვა იმედის“ დახურვას ნიშნავს

ნონა ცაბაძე

**გასული კვირის ბოლოს ტელეკომპანია „იმედმა“ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიხედვითაც, ინგა გრიგოლიას საავტორო გადაცემა „რეაქცია“ ეთერში აღარ გავა. საუბარია „იმედის კვირის“ დახურვაზეც.**

**აღნიშნულთან დაკავშირებით ტელეკომპანიამ ასეთი განცხადება გაავრცელა:**

— საშემოდგომო სატელევიზიო სეზონზე ტელეკომპანია „იმედი“ დროებით აჩერებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების სეგმენტს. ამის მიზეზია ჩვენი სურვილი, შევცვალოთ არსებული გადაცემების ფორმატი და შევიმუშაოთ თვისობრივად ახალი სატელევიზიო პროდუქტი, რომელსაც შევთავაზებთ მაყურებელს 2016 წლიდან.

ამავე განცხადებაში დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ გადაცემის გუნდის წევრებს, რომელთაგან თითოეულს დიდი წვლილი აქვს შეტანილი „იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების შექმნაში.

ინგა გრიგოლია აღნიშნულ გადაწყვეტილებას სოციალურ ქსელში ასე გამოეხმაურა:

— მორჩა კინო, წადით სახლში!

◆ ◆ ◆

„რეაქციის“ გუნდისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება მოულოდნელი გამოდგა.

გადაცემის პროდიუსერი **სოფო ხუციშვილი** ამბობს, რომ ისინი ჩვეულებრივად ემზადებოდნენ ახალი სეზონისთვის. 18 სექტემბერს „რეაქცია“ ჩვეულ დროს, ჩვეულ ფორმატში უნდა გასულიყო ეთერში. გაკეთებული იყო ახალი პრომო და მინიმალური სამუშაო იყო დარჩენილი. სამი გადაცემა იყო დაგეგმილი.



— ინგა გრიგოლია იმყოფებოდა შეერთებულ შტატებში საელჩოს პროგრამით, გაიარა ტრენინგი და ველოდებოდით მის დაბრუნებას, რომ მერე ერთად გაგვევლო დეტალები. ვაპირებდით, რომ „რეაქცია“ უფრო გაგვეძლიერებინა, რადგან ეს იყო საარჩევნო წელი. შესაბამისად, ჩვენ გვქონდა ძალიან ბევრი გეგმა, — გვითხრა სოფო ხუციშვილმა.

***— როდის გახდა თქვენთვის ცნობილი, რომ „რეაქცია“ ეთერში აღარ გავიდოდა?***

— შაბათს საღამოს გავიგეთ, რომ არხზე ეს გადაცემა აღარ გავა და, რასაკვირველია, ეს იყო ძალიან მოულოდნელი.

***— რა მიზეზებსა და მოტივებზე საუბრობს არხის ხელმძღვანელობა?***

— არც მე, როგორც ამ გადაცემის პროდიუსერსა და არც ჩემს სხვა კოლეგებს არხის ხელმძღვანელობა არ შეგვხვედრია. შეხვედრა იყო მხოლოდ ინგა გრიგოლიასთან. თუ რას ფიქრობს არხის ხელმძღვანელობა, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ გადაცემა ეთერში აღარ გავა.

სოფო ხუციშვილმა არ იცის, დაიხურება თუ არა სხვა გადაცემებიც.

— არ ვიცი, რა ხდება „იმედის კვირასთან“ დაკავშირებით. თავიდან იყო საუბარი, რომ ორივე გადაცემა დაიხურა, შემდეგ იყო საუბარი, რომ შეიძლება „იმედის კვირის“ ფორმატი შეიცვალოს. ზუსტად ის ვიცი, რომ „რეაქცია“ ეთერში 18 სექტემბერს არ გავა, — აცხადებს პროდიუსერი.

***— ხომ არ არის ეს ხელისუფლების მცდელობა, ჩაერიოს არხის მართვაში?***




„იმედის“ განცხადება ძალიან გაუმართავი ტექსტით იყო დაწერილი. მასში იყო გრამატიკული შეცდომები და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო ძალიან ნაჩქარევი, ნაუცბათევი განცხადება

— ეს არის პოლიტიკური გადაცემა, ეს არის პოლიტიკური თოქ-შოუ. დაწყებულია წინასაარჩევნო აქტივობები და დახურული პოლიტიკური გადაცემა, რასაკვირველია, ბადებს ბევრ კითხვას. ამ კითხვაზე არის ერთადერთი პასუხი, რომ ეს არის ძალიან სახიფათო სიგნალი!

***— ანუ ვიღაცას ხელს უშლიდა ეს გადაცემა?***

— ჩვენ ვართ ჟურნალისტები და, როგორც წესი, დასკვნების გაკეთება არ გვიჭირს, თუმცა მე, როგორც პოლიტიკური გადაცემის პროდიუსერი, დღეს ამაზე მეტს არ ვიტყვი, რადგან ყველაფერი არის სახეზე — გადაცემა ეთერში არ გავა!

პროდიუსერის აზრით, „რეაქცია“ იყო მწვავე, მაგრამ ობიექტური გადაცემა.

— ჩვენს გადაცემაში რომ ყოფილიყო ბალანსი, ამისთვის დღე და ღამე ვმუშაობდით. ეს იყო მოთხოვნა გადაცემის ავტორის და წამყვანის და ეს ბალანსი ყოველთვის დაცული იყო! — ამბობს სოფო ხუციშვილი.

◆ ◆ ◆

მედიაექსპერტ **ია ანთაძეს** ამ ეტაპზე უჭირს შეფასებების გაკეთება, რადგან სრული სურათი მისთვის ნათელი არ არის.

— ერთადერთი, რაც მე შეიძლება დღეს შევაფასო, არის ის განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა „იმედის“ სახელით შაბათს 22.15 საათზე, ორი კვირით ადრე, ვიდრე ახალი სეზონი უნდა დაწყებულიყო, — ამბობს ექსპერტი.

განცხადებამ ია ანთაძის ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ მას ეტყობოდა, ნაუცბათევად იყო დაწერილი:

— განცხადება ძალიან გაუმართავი ტექსტით იყო დაწერილი. მასში იყო გრამატიკული შეცდომები და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო ძალიან ნაჩქარევი, ნაუცბათევი განცხადება.

ია ანთაძე თვლის, რომ სეზონის გახსნამდე



რამდენიმე დღით ადრე ტელევიზია არ წყვეტს, ყველაზე რეიტინგული თოქ-შოუები უნდა ჰქონდეს თუ არა ეთერში.

— ბადე არის შესავსები და ტელევიზიის ხელმძღვანელობამ იცის ყოველთვის, გადაცემების დაწყებამდე ორი კვირით ადრე, რითი ავსებს ბადეს. ამიტომ ეს იყო ძალიან უცნაური ამბავი, მით უმეტეს, რომ არც ჟურნალისტები იყვნენ საქმის კურსში, — ამბობს ექსპერტი.

***— რამ უბიძგა ტელევიზიას, რომ გაეუქმებინა ეს თოქ-შოუები? იქნებ ძალიან ძვირი უჯდებოდა არხის ხელმძღვანელობას ამ გადაცემების შენახვა?***

— ეს გადაცემები იყო ძალიან რეიტინგული. არ ვიცი, რა უჯდებოდა ეს ტელეკომპანიას. საარჩევნო წელი იწყება და ტელევიზიები ფიქრობენ, როგორი გადაცემებით შეხვდნენ ამ საარჩევნო წელიწადს. ეს განცხადება რომ გაკეთებულიყო ბევრად უფრო ადრე, შესაფერის დროს და მეტი განმარტებით, მაშინ ჩვენც ლოგიკურად ვიმსჯელებდით, თუ რა მოხდა და რატომ დაიხურა გადაცემები.

***— კულუარებში ამბობენ, რომ ტელეკომპანია „იმედი“ ლევან ვასაძემ იყიდა.***

— ჯერ არაფერი გამიგია ამის შესახებ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნული განცხადება იყო გაუგებარი.

◆ ◆ ◆

საპარლამენტო უმცირესობის წევრი **გიორგი ვაშაძე** მიიჩნევს, რომ დღეს ხელისუფლება რთულ მდგომარეობაშია.

— როგორც ჩანს, „იმედზე“ გასული გადაცემები ხელისუფლებისთვის ბოლომდე მისაღები არ აღმოჩნდა და ისინი ფიქრობენ, რომ გაცილებით უკეთესია მათ მიერ სრულად კონტროლირებადი ჟურნალისტები თუ გადაცემები, — ფიქრობს ნაციონალი დეპუტატი.

ვაშაძის აზრით, ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვა ხელისუფლების გადაწყვეტილებაა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ხდება თანამედროვე საქართველოში. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჩვენ არ ვიზრდებით, ხელისუფლება არ იზრდება და არაფერს ახალს არ ამბობს, როცა ის საუბრობს დემოკრატიის მშენებლობაზე და პირიქით, ქვეყანა უკან მიდის, — ამბობს პოლიტიკოსი.



***— იმის თქმა გინდათ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება იმავე შეცდომებს უშვებს, რაც თქვენმა ხელისუფლებამ დაუშვა, თუნდაც „იმედთან“ დაკავშირებით? იმავე გზაზე მიდის ეს ხელისუფლებაც?***

— იმავეში რას გულისხმობთ? მე საერთოდ ვფიქრობ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ძალიან დიდი შეცდომა იყო ის, რომ ღია და ინტენსიური დებატები და თოქ-შოუები არ იყო სატელევიზიო ეთერში. ამისთვის მაქსიმალურად ხელი უნდა შეეწყო ნაცმოძრაობას.

***— „იმედში“ შევარდნას რით გაამართლებთ?***

— აქ არ იყო ცალკე აღებული „იმედის“ თემა, ან 7 ნოემბრის აქცია. ამაზე ნაციონალების ხელისუფლებამ პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო და რიგგარეშე არჩევნებიც დანიშნა. ეს იყო პასუხი ამ სიტუაციაზე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, მეორე მხრივ, მაშინაც იდგა რუსული ინტერესი, დიდი ფინანსური ინტერესი, რომელიც ცდილობდა სიტუაციის მაქსიმალურ ესკალაციას.

***— თქვენ ყველაფერში რუსულ ინტერესს ხედავდით და ამ ნიღაბს ეფარებოდით. ამით ამართლებთ „იმედის“ დარბევას?***

მმართველი გუნდის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის გადაცემები უნდა არსებობდეს. ამიტომ პირადად ჩვენს ინტერესებშიც შედის, არხის ხელმძღვანელობამ უფრო მკაფიო განმარტებები გააკეთოს

— რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არ აქვს უფლება, ჩაერიოს მედიის თავისუფლებაში და მან ამ შემთხვევაში სამართლებრივ გზას უნდა მიმართოს, თუკი არის ამისი აუცილებლობა, — ამბობს გიორგი ვაშაძე.

მისი აზრით, არ უნდა ჩავიციკლოთ წარსულ პერიოდზე, მაგრამ რეალობა ის არის, რომ ქვეყანა წინ არ მიდის.

— ზოგადად მსგავსი გადაწყვეტილებები არ უნდა მიიღებოდეს. ვწუხვარ, რომ იმავე სიტუაციაში ვართ, უარესში თუ არა. სამწუხაროა, რომ არ ხდება პოლიტიკურად ზრდა და წარსულში დაშვებული შეცდომების გათვალისწინება, — დასძენს პოლიტიკოსი.

◆ ◆ ◆

ექსპერტ **გია ხუხაშვილისთვის** მტკივნეულია ყველა ის თემა, რომლებიც ტელეკომპანია „იმედს“ უკავშირდება. მისთვის ეს ტელევიზია ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნასთან ასოცირდება, რაც მისთვის ძალიან ძვირფასია.



ექსპერტს მიაჩნია, რომ „იმედზე“ ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვა მთლიანად ტელევიზიის დახურვის ტოლფასია.

— მე არ მინდა შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება. არ დავიწყებ კონკრეტულ საკითხებზე შეფასებებს. ერთს ვიტყვი: ნებისმიერმა სატელევიზიო მენეჯერმა, რომელსაც სატელევიზიო მარკეტინგზე ოდნავ მაინც აქვს წარმოდგენა, უნდა იცოდეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება არის მინიმუმ ამ ბიზნესის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი, — ფიქრობს გია ხუხაშვილი.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ, თუ რეიტინგებით ვიმსჯელებთ, ინგა გრიგოლიას პროექტების დახურვა ნიშნავს ტელევიზიის დახურვას, რადგან ერთადერთი, რასაც ჰქონდა მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი რეიტინგი, იყო ინგა გრიგოლიას თოქ-შოუ. რბილად რომ ვთქვათ, ეს არის აბსოლუტურად უგუნური მენეჯერული გადაწყვეტილება.

***— იქნებ ძვირი უჯდებოდა არხის ხელმძღვანელობას ამ გადაცემების შენახვა?***

— მე შეფასებებში ჯერ ამაზე შორს არ წავალ. არ მინდა, ბადრის ხსოვნას ასე შევეხო. ბადრისთვის „იმედი“ იყო ოჯახის წევრი. ბადრი არ იყო ჩემთვის სულერთი. არც მისი დანატოვარია ჩემთვის სულერთი. ეს ჩემთვის ძალიან ფაქიზი საკითხია და უფრო შორსმიმავალ კომენტარებს ამ ეტაპზე არ გავაკეთებ. მინიმუმ ეს იყო მენეჯერულად უგუნური გადაწყვეტილება. მენეჯერმა ამით აჩვენა, რომ წარმოდგენაც არ აქვს სატელევიზიო მარკეტინგზე. მან გადადგა ნაბიჯი ბიზნესის საწინააღმდეგოდ, საკუთარი ბიზნესის დასანგრევად და ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება!

***— ანუ თქვენც გაქვთ ეჭვები?***

— ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვი. დანარჩენ კომენტარებს, კარგად რომ გაირკვევა სიტუაცია, შემდეგ გავაკეთებ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ინგა გრიგოლია: რეაქცია“ სხვა არხზე გავა“

ნონა ცაბაძე

**ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, ისე მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა „იმედის“ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური თოქ-შოუების დახურვის შესახებ.**

— არცერთი შეტყობინება, არცერთი გაფრთხილება მე არ მქონია. არავის ჩემთვის არასოდეს უთქვამს, რომ გადაცემის ფორმატი არ მოსწონს და უნდა შეცვალოს. არასოდეს უთქვამთ ჩემთვის, რომ შეიძლებოდა გადაცემები დახურულიყო! — ამბობს ჟურნალისტი.

ცოტა ხნის წინ ინგა გრიგოლია მედიაპროგრამით ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო და იქ ლაპარაკი ჰქონდა თავისი გადაცემების თავისუფლებაზე.

— ჩამოვფრინდი 28-ში, 29-ში კი დამიბარეს და მითხრეს, რომ გადაცემა დამიხურეს.

***— რა გითხრათ არხის ხელმძღვანელობამ, რა მოტივით დაგიხურეს გადაცემები?***

— ეს არის კერძო ტელეკომპანია და მათ აქვთ სრული უფლება, დატოვონ ეთერში ის გადაცემა, რომელიც მათთვის არის საჭირო და მისაღები. მე არ მექნება იმის პრეტენზია, რომ ვთქვა, ეს როგორ გაბედეს, მაგრამ აქ არის მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი, არცერთი ტელევიზია, მით უმეტეს კერძო, რომელსაც არ აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, რეიტინგულ გადაცემებს, რომლებსაც შემოაქვს დიდი სარეკლამო შემოსავალი, არ ხურავს! ეს არის ტელევიზიის კანონი.

***— რა უდევს ამ გადაწყვეტილებას სარჩულად?***

— როდესაც ერთ წამში ორ გადაცემას ხურავ, რომლებიც მე მიმყავდა, მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ეს არის პოლიტიკური დავალება, რომელიც „იმედმა“ შეასრულა! დავალება, რომელიც იმას უკავშირდებოდა, რომ წინასაარჩევნოდ მე არ უნდა ვყოფილიყავი პოლიტიკური გადაცემის წამყვანი.

◆ ◆ ◆

„იმედის“ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2016 წლამდე არხის რეორგანიზაციას აპირებენ. ინგა გრიგოლია მიიჩნევს, რომ ეს სწორედ არჩევნებს უკავშირდება და წინასაარჩევნოდ პოლიტიკური თოქ-შოუების შეჩერება მისთვის სრულიად გაუგებარია.

***— ახალი ხელისუფლებაც ძველის გზას იმეორებს?***

— ყველა ხელისუფლების პირობებში მაქვს გამოცდილება დახურული გადაცემებისა, — ამბობს ჟურნალისტი, — თუმცა, არა



## „იმედმა“ პოლიტიკური დავალება შეასრულა

უშავს, ესეც გაივლის! როგორც ჩანს, ვერც ამ ხელისუფლებაში გაექცნენ იმის ცდუნებას, რომ დაამყარონ კონტროლი არხზე. ყველა ხელისუფლებას აქვს სურვილი, აკონტროლოს მასმედია. სამწუხარო ისაა, როცა მედიასაშუალება ამაზე თანხმობას აცხადებს!

***— ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს რაიმე სახის ჩარევასაც კი მედიის საქმიანობაში. მისი პოზიცია ასეთია, რომ დღეს მედია სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალია.***

— არსებობს ხელისუფლება, რომელიც ამას აღიარებს?! — კითხულობს ჟურნალისტი და განაგრძობს, — დღეს არ ვლაპარაკობ მთლიანად ხელისუფლებაზე. არ ვფიქრობ, რომ ეს მთელი ხელისუფლების პოზიციაა. ამ ხელისუფლებაში მთელი გუნდი არ იღებს გადაწყვეტილებას.

## „გადაცემა ამერიკიდან ჩამოსვლის მეორე დღეს დამიხურეს“

ინგა გრიგოლიას აზრით, ტელეკომპანია „იმედი“ იძულებული გახადეს, ეს გადაწყვეტილება მიეღო.

— სწორედ ეს არ მომეწონა ყველაზე მეტად, თორემ ხელისუფლებისგან არაფერი გამკვირვებია, — ამბობს ჟურნალისტი.

ამ ხელისუფლებაში გრიგოლიას მეგობრებიც არიან და ისინი ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა.

— უბრალოდ, ისინი ვერ ცვლიან იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ყველაზე გავლენიანი ჯგუფი იღებს! — ამბობს ჟურნალისტი.

◆ ◆ ◆

უჯდებოდათ თუ არა ძვირი არხის მფლობელებს ამ გადაცემების შენახვა და ეს ხომ არ გახდა მათი დახურვის მიზეზი?

ამ საკითხზე ინგა გრიგოლიას ასეთი მოსაზრება აქვს:

— ეს არის ტყუილი. პირიქით, ძალიან იაფი ჯდებოდა, რეიტინგისა და რეკლამების შესაბამისად, „რეაქციის“ შენახვა! რაც შეეხება „კვირას“, მასში უფრო მეტი ადამიანი მუშაობდა და, ალბათ, უფრო მეტი ბიუჯეტიც იხარჯებოდა, თუმცა დამაბალანსებელი იყო ეს ფინანსური თვალსაზრისით.

ჟურნალისტის თქმით, სასაცილოა, მაგრამ „რეაქციისთვის“ ოთხი ადამიანი მუშაობდა.

— როდესაც უცხოელებს ვუთხარი, რომ „რეაქციას“ ოთხი ადამიანი აკეთებდა და აქედან ერთი მე ვიყავი, ისინი გაოგნებული დარჩნენ. ეს ნამდვილად არ არის სიმართლე და არც მგონია, რომ ეს ტელევიზიის მოსაზრება იყოს. ამას ტელევიზიის არცერთი მენეჯერი არ იტყოდა, — ამბობს ჟურნალისტი.

***— ინგა, „რეაქციას“ სხვა არხზე ხომ არ წაიღებთ?***

— რასაკვირველია, მე აუცილებლად დავიწყებ სხვა არხზე მუშაობას. „რეაქცია“ გავა სხვა ტელევიზიის ეთერში.

***— რომელ არხზე გავა „რეაქცია“?***

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა!

# ინგა გრიგოლიას რეაქციის“ დახურვა იმედის“ დახურვას ნიშნავს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ არხი გაიყიდა და ის ლევან ვასაძემ შეიძინა.***

— არა მგონია, ასე იყოს. „იმედი“ ჩემთვის ძალიან ბევრია. ამ ტელევიზიის დაბრუნება მისი მეპატრონისთვის მოხდა ჩემი ხელით. მე მაქვს გარკვეული პასუხისმგებლობა ამ ტელევიზიასთან დაკავშირებით და ამიტომ არ მინდა, საკითხში გარკვევამდე იმაზე უფრო მწვავე განცხადებები გავაკეთო, ვიდრე ახლა ვსაუბრობ.

***— აცხადებთ, რომ „იმედი“ თქვენი ხელით დაუბრუნდა მეპატრონეს. შემდეგ რა პროცესები მიმდინარეობდა ამ ტელევიზიაში?***

— ნამდვილად არ ვიცი. ჩემი ფუნქცია ამოიწურა იმით, რომ მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ტელევიზია უმტკივნეულოდ დაჰბრუნებოდა მის პატრონს. ამის შემდეგ მე არც საკუთარ თავს და არც ბადრის ხსოვნას არ მივაყენებდი იმ შეურაცხყოფას, რომ რაღაცნაირად მონაწილეობა მიმეღო „იმედის“ მართვაში! მე აბსოლუტურად დისტანცირება გავაკეთე მას შემდეგ, რაც ეს ტელევიზია პატრონს დავუბრუნე.

გია ხუხაშვილს არ სურს, დეჟავიუ დაგვემართოს და ამ ხელისუფლებამაც იმაზე მოიტეხოს კისერი, რაზეც წინა ხელისუფლებამ მოიტეხა.

— იმედს ვიტოვებ, რომ აქ პოლიტიკა არაფერ შუაში არ არის! — აცხადებს ექსპერტი.

◆ ◆ ◆

**„იმედი“ ჩემთვის ძალიან ბევრია. ამ ტელევიზიის დაბრუნება მისი მეპატრონისთვის მოხდა ჩემი ხელით. მე მაქვს გარკვეული პასუხისმგებლობა ამ ტელევიზიასთან დაკავშირებით და ამიტომ არ მინდა, საკითხში გარკვევამდე იმაზე უფრო მწვავე განცხადებები გავაკეთო, ვიდრე ახლა ვსაუბრობ**

დგას თუ არა „რეაქციის“ დახურვის უკან პოლიტიკური საკითხები და ერევა თუ არა მედიის საქმიანობაში ხელისუფლება?

აღნიშნულთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრი **ანი მიროტაძე** აცხადებს:

— მე ვნახე ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობის განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით და უკმარისობის განცდა დამრჩა. აქ უფრო მეტი და მკაფიო განმარტებაა საჭირო.



ანი მიროტაძე მიიჩნევს, რომ თუ არ იქნება მკაფიო განმარტებები, ლეგიტიმური გახდება ის ეჭვები, რომლებიც გადაცემების დახურვასთან დაკავშირებით გაჩნდა. მისი აზრით, ასეთი რეიტინგული გადაცემების დახურვა კარგი არ არის. ის ურჩევს არხის ხელმძღვანელობას, გადახედოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

დეპუტატი ამბობს, რომ მის, როგორც უმრავლესობის წარმომადგენლის ინტერესებში არ შედის, ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩული დაედოს და მსგავსი ეჭვები ჩნდებოდეს. იგი კატეგორიულად გამორიცხავს ხელისუფლების რაიმე კუთხით ჩარევას ამ პროცესში.

— გამორიცხულია პოლიტიკურ მოტივებზე საუბარი. ჩვენს გუნდს ეს არ აწყობს. მმართველი გუნდის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის გადაცემები უნდა არსებობდეს. ამიტომ პირადად ჩვენს ინტერესებშიც შედის, რომ არხის ხელმძღვანელობამ უფრო მკაფიო განმარტებები გააკეთოს, — აცხადებს ანი მიროტაძე.

# გაათავისუფლეთ დელფინები!

## თავდასხმა ბათუმის დელფინარიუმზე

გუშინ, 30 აგვისტოს, ბათუმის დელფინარიუმში 6 მამაკაცი შეიჭრა და დელფინების გათავისუფლება მოითხოვა.

— ისინი ამბობდნენ, რომ დელფინები ციხეში არიან ჩაკეტილი და უნდა გათავისუფლდნენ, — განაცხადა დელფინარიუმის შოუს წამყვანმა და პიარმენეჯერმა ბერდია კუტუბიძემ.

მისივე თქმით, პოლიციამ ახალგაზრდების ჯგუფი დააკავა და დაკითხვაზე წაიყვანა.

მომხდართან დაკავშირებით შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა“ განცხადება გაავრცელა.

— 30 აგვისტოს ბათუმის დელფინარიუმში დაახლოებით დღის 4 საათზე შემოიჭრა ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც თვითნებურად გაარღვია კორდონი (უცხო პირთათვის აკრძალული ტერიტორია). ისინი შეიჭრნენ დელფინთან ინტერაქტივისთვის განკუთვნილ ზონაში და ჩაშალეს სამუშაო პროცესი, — ნათქვამია განცხადებაში.

დელფინარიუმის დაცვის წევრების რეაგირებას მათ ფიზიკური აგრესიითა და ცრემლსადენი ტოქსიკური აირის გამოყენებით უპასუხეს.

დაზიანებულია დაცვის რამდენიმე თანამშრომელი, სტრესის ქვეშ იმყოფება რამდენიმე მოქალაქე, როგორც საქართველოს, ასევე უცხოელი ვიზიტორები, რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი.

— დაფიქსირდა ვანდალური ფაქტი, რომელიც აღემატება ყოველგვარ ზღვარს ორგანიზაციული, საზოგადოებრივი თუ სხვა მსგავსი ქმედებისა. აღნიშნული ქმედება მოკლებულია მოქალაქეობრივ ეთიკასა თუ თვითშეგნებას, — ნათქვამია განცხადებაში.



◆ ◆ ◆

ბათუმის დელფინარიუმში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს. უწყებაში არ აკონკრეტებენ, თუ ვინ შეიჭრა დელფინარიუმში.

# სოფელ ბერშუეთიდან გატაცებული ორი მწყემსი გამოუშვეს

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთიდან გატაცებული მწყემსები წუხელ გვიან ღამით გაათავისუფლეს.

ე.წ. მესაზღვრეებმა 75 წლის მურაზ ჯავახიშვილი და 40 წლის ივანე სეხნიაშვილი მაშინ დააკავეს, როდესაც პირუტყვს მწყემსავდნენ. მურაზ ჯავახიშვილის თქმით, გათავისუფლების სანაცვლოდ მათ 2000 რუბლი მოსთხოვეს.

სოფელ ბერშუეთიდან ორი მწყემსი 25 აგვისტოს გაიტაცეს.




ინტერპრესნიუსი



# სოსო ცინცაძე: ნატოს სასწავლო ცენტრის თაობაზე რუსეთის შეშფოთება პუტინის პროპაგანდის ნაწილია“

მარიამ მჭედლიშვილი

**წვრთნისა და შეფასების ნატოს ცენტრის დაარსება საქართველოში დიდი ხნის წინ გადაწყდა. 27 აგვისტოს ეს გადაწყვეტილება შესრულდა. ეს ფაქტი ისევ იწვევს მითქმა-მოთქმასა და რუსეთისაგან საპროტესტო დარტყმების მოლოდინს.**

ცენტრის გახსნაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სასწავლო ცენტრის საქმიანობა არ იქნება მიმართული რომელიმე მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, თუმცა რუსეთის ოფიციალური პირებისაგან მაინც გაისმის უკმაყოფილო განცხადებები, საქართველოში კი კომენტატორების ნაწილს პანიკური განწყობა აქვს.



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ასეთი პოზიცია პროპაგანდის ნაწილია. ამ პროპაგანდის თანახმად, რუსეთი მტრის გარემოცვაშია — ნატო ალყას არტყამს რუსეთს, რუსეთი კი ამას ასე არ დატოვებს.

— ნატოს სასწავლო ცენტრი, რასაკვირველია, რუსეთისათვის საჩუქარი არ არის, მაგრამ, ამავე დროს, ეს არ არის რუსეთისათვის კატასტროფულად გამაღიზიანებელი. ერთია პროპაგანდისტული საჯარო განცხადებები. კრემლშიც მშვენივრად იციან, რომ სასწავლო ცენტრი რუსეთისათვის სასიცოცხლო საფრთხეს არ წარმოადგენს, — აღნიშნავს ექსპერტი.

რუსეთისაგან მოსალოდნელ საპასუხო ნაბიჯებზე საქართველოშიც ბევრი საუბრობს. სოსო ცინცაძე არ ფიქრობს, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მყისიერ საპასუხო აგრესიას განახორციელებს:

— არა მგონია, რომ რუსეთი საწვავს ასხამდეს ტანკებსა და ბომბდამშენებში და მას უნდა, საქართველოში სამხედრო სადამსჯელო აქცია განახორციელოს. ვინც ასეთ რადიკალურ განცხადებებს აკეთებს, არა მგონია, ზუსტად იცოდნენ, რა ფუნქციის მატარებელი იქნება ეს ობიექტი. ზოგიერთი მას საწვრთნელ ცენტრს უწოდებს. არა მგონია, ეს საწვრთნელი ცენტრი იყოს. გერმანიაში 70-იანი წლების დასასრულს მინახავს ნატოს საწვრთნელი ცენტრები. ეს იყო 20 ჰექტრამდე ფართობის მავთულხლართებით გამოყოფილი ტერიტორია. იქ გასაიდუმლოებული წვრთნები მიმდინარეობდა. ეს ობიექტი უფრო სასწავლო ცენტრია. რუსეთი გაღიზიანებით ხვდება ნებისმიერი მეზობლის მცდელობებს, გახდეს ნატოს წევრი. როგორც ჩანს, საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ ძნელად ეგუება ამ რეალობას.



„თუ რუსეთმა მაინც გადაწყვიტა, ამას ტანკებით უპასუხოს, ამ შემთხვევაში უკვე ვალდებულებას ნატო იღებს“

სოსო ცინცაძე ამბობს, რომ ასეთი ცენტრის გახსნა მისასალმებელია. დღეს საქართველო ნატოსთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს, ვინაიდან ის მისი ერთადერთი ქრისტიანი მოკავშირეა სამხრეთ კავკასიაში. ამასთან, ის აზუსტებს, რომ ამ თემაზე საუბარი, ზოგადად, არ ჯდება 21-ე საუკუნის ნორმებში, მაგრამ ვითარება ყოველდღე იცვლება:

— ჩვენ ვცხოვრობთ იმ რეალობაში, როცა ევროკავშირის ერთ-ერთი სახელმწიფო ოფიციალურად აცხადებს, რომ არ მიიღებს მუსლიმან ლტოლვილებს ახლო აღმოსავლეთიდან და მიიღებს მხოლოდ ქრისტიანებსა და ათეისტებს. ჩვენ ვცხოვრობთ იმ რეალობაში, როცა ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანა კედელს აშენებს თავის მეზობელთან მუსლიმანებისაგან თავის დასაცავად. ჩვენ ვხედავთ რელიგიურ დაპირისპირებას.

— შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთმა მაინც გადადგას რაიმე ნაბიჯები საქართველოს წინააღმდეგ? ამ შეკითხვას სოსო ცინცაძე ასე პასუხობს:

— როცა საქმე გვაქვს ისეთ პრობლემურ მეზობელთან, როგორიც რუსეთია, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუ რუსეთმა, მაგალითად, გადაწყვიტა, სასწავლო ცენტრის გახსნას ტანკებით უპასუხოს, ნატო უკვე ვალდებულებას იღებს თავის თავზე. ეს არ იქნება 2008 წლის ომის შედეგი, სადაც იყო ტალიავინის კომისიის დასკვნა. ეს დასკვნა იწყებოდა წინადადებით, რომ ომი დაიწყო საქართველომ. ამაზე მე სხვა აზრი მაქვს, მაგრამ რუსეთისათვის ეს იყო ალიბი. დღეს ასე აღარ მოხდება.

# ვხედავდით, როგორ მოფრინავდა ლიფტი“

შარდენის ქუჩაზე მდებარე კაფე „ტერასა 360“-ში ლიფტი ჩავარდა.

ინციდენტის დროს ლიფტში 4 ადამიანი იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად ოთხივე ადამიანმა მრავლობითი დაზიანება მიიღო.

როგორც ,,ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, შემთხვევა გამთენიისას მოხდა, სამაშველო სამსახურებმა იქ მყოფი ადამიანები დროულად ამოიყვანეს.

დაზარალებულები სხვადასხვა კლინიკაში არიან მოთავსებული.

როგორც თვითმხილველმა ,,ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადა, მეხუთე სართულზე მდებარე კაფე-ბარს გარე ლიფტი მაშინ მოსწყდა, როდესაც მასში 4 ადამიანი იმყოფებოდა.

— უცებ მთელ შარდენზე საშინელი ხმა გაისმა, ყველანი გავიქეცით ,,ტერასას“ მიმართულებით და ვხედავდით, როგორ მოფრინავდა ლიფტი და როგორ დაენარცხა. როცა ლიფტის გახსნა მოხერხდა, ვნახე ოთხი ადამიანი. ჩემი აზრით, მათ კიდურების მოტეხილობები ჰქონდათ, იქიდან ცოცხლები წაიყვანეს, — განაცხადა რესპონდენტმა.

კაფეს მფლობელმა თაკო დოლაბერიძემ მომხდარზე კომენტარი გააკეთა.




— 4 ნასვამი ადამიანი შევიდა ლიფტში, დაიწყეს ხტუნაობა და ლიფტი ჩავარდა, სხვა არაფერი ყოფილა, — უთხრა თაკო დოლაბერიძემ ,,პრაიმტაიმნიუსს“.

# პატრიარქი: როცა უფალს დახმარებას სთხოვთ, ეჭვი არ უნდა შეგეპაროთ“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მრევლს მიმართავს, როცა უფალს დახმარებას სთხოვენ, ღვთის წყალობაში ეჭვი არ შეეპაროთ.

პატრიარქი მრევლს ურჩევს, უფალს სთხოვონ სიხარულით, სიყვარულითა და რწმენით.

— როცა უფალს დახმარებას სთხოვთ, არ უნდა შეგეპაროთ ეჭვი. როცა ადამიანს ეჭვი ეპარება, არ სრულდება მისი თხოვნა. ამიტომ ეჭვი არ უნდა იყოს, როცა უფალს ვთხოვთ.

უფალი ბრძანებს, ითხოვე და მოგეცეს შენ. ითხოვე სიხარულით, სიყვარულით, რწმენით და უფალი მოგცემს, თუკი ეს შენთვის სასარგებლოა, — ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას.

ინტერპრესნიუსი

# 4 წლის ბავშვს, რომელიც გერმანიაში გარდაიცვალა, ექსპერტიზა საქართველოშიც ჩაუტარდა

4 წლის ბავშვს, რომელიც გერმანიაში გარდაიცვალა, ექსპერტიზა საქართველოშიც ჩაუტარდა. პასუხი 45 დღეში გახდება ცნობილი. ოჯახის განცხადებით, ბავშვს გარეგნული დაზიანებები არ ეტყობა.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარდაცვლილი ბავშვის მამამ, ვანო დვალიშვილმა განუცხადა, მას გადასცეს გერმანელი მომვლელი ქალის ჩვენება, სადაც ის ამბობს, რომ 22 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ანდრიამ გაიღვიძა, აფორიაქებული იყო და ვერ აწყნარებდნენ. მოგვიანებით ბავშვი დაამშვიდეს და დაიძინა. დაახლოებით დილის 6-ის ნახევარზე კი მომვლელი ოთახში რომ შევიდა, ბავშვი აღარ სუნთქავდა.

ოჯახის განცხადებით, ანდრია უყურადღებობის გამო გარდაიცვალა.

ვანო დვალიშვილი, გარდაცვლილი ბავშვის მამა:

— ანდრია ძალიან აქტიური, კონტაქტური ბავშვი იყო. როდესაც გერმანიაში გულის გამოსაკვლევად წაიყვანეს, გერმანელი ექიმები აღფრთოვანებული დარჩნენ ქართველი კოლეგების ნამუშევრით და განაცხადეს, რომ გულის ოპერაცია საჭირო არ იყო. ამის შემდეგ მას ჩაუტარდა ასევე სასუნთქი გზების გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგებიდან გამომდინარე, გერმანელმა მედიკოსებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და ოპერაცია მომავალი წლის თებერვალში დანიშნეს.

როგორც ასოციაცია „ჯანმრთელი ბავშვების“ დამფუძნებელი ანა ბერულავა ამბობს, რომელიც ბავშვს ახლდა გერმანიაში, ბავშვმა სტომა მოიგლიჯა. მე ვფიქრობ, ბავშვი უყურადღებობის შედეგად გარდაიცვალა, რადგან სტომაში გროვდება ნახველი, რომელიც პერიოდულად უნდა ამოიტუმბოს, სხვა შემთხვევაში ბავშვი გაიგუდებოდა ანუ ბავშვს მუდმივი ყურადღება სჭირდებოდა.

4 წელი და 8 თვე ანდრიას სტომა ედგა და ჩვენთან არაფერი მოსვლია, რადგან მუდმივი ყურადღების ქვეშ იყო.

მისივე თქმით, ბავშვს ლაპარაკი არ შეეძლო, მას ხმა საერთოდ არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ბავშვს ჰქონდა ემოციური ფონი, ნერვიულობდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა და, შესაძლოა, ამანაც გარკვეულწილად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე.

ინტერპრესნიუსი

# მგზავრებს ნაძალადევის“ მეტრო დაატოვებინეს

მეტროს სადგურ „ნაძალადევში“ მატარებლების მოძრაობა შეფერხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მეტროს მოძრაობის შეფერხების სავარაუდო მიზეზი მატარებლის კარის დაზიანება გახდა, რომელსაც თან ძლიერი ხმაური ახლდა და მგზავრებში პანიკა გამოიწვია.

◆ ◆ ◆

მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის განმარტებით, მეტრო „ნაძალადევში“ ვაგონი შეიცვალა, რადგან ჰაერს ვერ იღებდა.

მეტროპოლიტენის პრესსამსახურის ინფორმაციით, მეტროს მოძრაობა არ შეფერხებულა.




— ვაგონი დეპოში გაუშვეს და მოხდა მისი ახლით ჩანაცვლება. ამას მეტროს მოძრაობის შეფერხება არ გამოუწვევია, — აცხადებენ პრესსამსახურში.

ინტერპრესნიუსი

# ადამიანთა თავისუფლების ინდექსში“ საქართველო 48-ე პოზიციაზეა

7,50 ქულით საქართველო „ადამიანთა თავისუფლების ინდექსში“ 152 ქვეყანას შორის 48-ე პოზიციაზეა.

ინდექსი მსოფლიოში ინდივიდუალური თავისუფლების დონეს ასახავს, რომელიც პირადი, სამოქალაქო და ეკონომიკური სფეროს შეფასებით ანგარიშდება. საქართველოში პერსონალური თავისუფლება 7,28 ქულით შეფასდა, ეკონომიკური თავისუფლება კი — 7,73 ქულით, თავისუფლება — 7,50 ქულით, დემოკრატიის ინდექსი კი 5,37 ქულით შეფასდა.

კვლევა მსოფლიოს 150 ქვეყანაში ვაშინგტონის კატონის, ვანკუვერის ფრეიზერის ინსტიტუტებმა და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდმა ჩაატარეს. კვლევა ეფუძნება 76 მაჩვენებელს, რომელიც 12 კატეგორიად არის დაჯგუფებული: კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფლება, სარწმუნოება, სამოქალაქო საზოგადოება, აზრის გამოხატვა, ასევე სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლება, საერთაშორისო დონეზე თავისუფალი ვაჭრობა და სხვა მაჩვენებლები.

რეიტინგის საბოლოო შედეგი 2012 წლის მონაცემებს ეყრდნობა. კვლევის ავტორთა განცხადებით, მსოფლიოში თავისუფლების საერთო დონე 6,96 ქულით შეფასდა ათქულიანი სისტემით.

რეიტინგში პირველი ადგილი ჰონგ კონგს ერგო, რომელსაც შვეიცარია, ფინეთი, დანია, ახალი ზელანდია, კანადა, ავსტრალია, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო და შვედეთი მოჰყვა.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს — რუსეთი 111-ე პოზიციაზეა, უკრაინა 74-ე, აზერბაიჯანი — 126-ე, სომხეთი — 53, ხოლო თურქეთი 63-ზე.

„ადამიანთა თავისუფლების ინდექსის“ ბოლო ხუთ საფეხურს იემენი, ზიმბაბვე, ბირმა, კონგო და ირანი იკავებენ.

ინტერპრესნიუსი



# ვის ინტერესებს ემსახურება ეროვნული ბანკის კანონზე გამოყენებული პრეზიდენტის ვეტო

**მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტების, ხელმძღვანელის არჩევის, წევრთა კვალიფიკაციის, შიდა და გარე აუდიტისა და მისი მოწყობის სხვა საკითხები იმეორებს ევროპულ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკას. ანალოგიური მოდელები მუშაობს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, ავსტრია, ნორვეგია, შვედეთი და ა.შ.**

საქართველოს მთავრობამ ამ პროექტზე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა 80% გაითვალისწინა. კანონპროექტი ყველა საერთაშორისო ნორმასა და სტანდარტს აკმაყოფილებს. უფრო მეტიც, ცვლილებებს მხარს უჭერდა საქართველოს ბანკების ასოციაცია, რომელიც პროცესის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა.

ამ ფონზე უცნაურად გამოიყურება კანონპროექტისთვის პრეზიდენტის მიერ გამიზნული ვეტო და მისი ადმინისტრაციის დაუსაბუთებლად ნეგატიური რეაქცია პირველივე დღეებიდან.

პრეზიდენტის მრჩეველი გიორგი აბაშიშვილი კანონპროექტის წინააღმდეგი იყო ჯერ კიდევ მის გაცნობამდე — მან არ იცოდა, როგორ მოდელს სთავაზობს მთავრობა პარლამენტს, მაგრამ აქტიურად აკრიტიკებდა თავიდანვე.



გიორგი ცუცქირიძე





გიორგი მარგველაშვილი

რა თქმა უნდა, მთავრობას შეუძლია პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, მაგრამ პროცესის გაჭიანურებამ შეაფერხა პროცესი და ახანგრძლივებს იმ პერიოდს, როდესაც, სათანადო ინსტიტუტების არქონის გამო, ლარით მანიპულაციებისთვის ხელსაყრელი გარემოა შექმნილი — ეს მოსახლეობისთვის ჯიბიდან დამატებითი თანხის დაკარგვის საშიშროებას ქმნის. ამ ფონზე პრეზიდენტის ვეტო სპეკულაციებისთვის ანთებული მწვანე შუქს ნიშნავს.

გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული ბანკის კანონზე ვეტოს გამოყენების შესახებ ინფორმაცია ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკსაც გააცნო, თუმცა შეხვედრის შემდეგ ამ საკითხზე ღიად არ უსაუბრია. ევროპული საბჭოს პრეზიდენტისთვის ვეტოს გამოყენების საფუძველი გაუგებარი აღმოჩნდა. მან განაცხადა, რომ სისტემა, რომელიც საქართველოში ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურთან დაკავშირებით უნდა დაინერგოს, პოლონეთში ეფექტიანად მუშაობს.

◆ ◆ ◆

ეროვნული ბანკის შესახებ კანონზე პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენება საფუძველს მოკლებული იყო.

კანონპროექტზე მუშაობისას გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაციები (80%-ზე მეტი), ხოლო სავალუტო ფონდის წარმომადგენელთან ბოლო კონსულტაციის შემდეგ მთავრობამ ახალი შენიშვნების ძირითადი ნაწილის გათვალისწინების მზადყოფნა გამოთქვა.

პრეზიდენტს ვეტოს გამოყენების მიზეზი აღარ ჰქონდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მთავრობამ დამატებითი რეკომენდაციების გათვალისწინების კონკრეტული ვადა დაასახელა და განმარტა, რომ შენიშვნებს სექტემბერში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტისას განიხილავს და დამატებითი ინიცირებით პარლამენტს წარუდგენს.

არსებული მოდელით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების არჩევაში ხელისუფლების 2 შტო მონაწილეობს. 5 წევრს წარადგენს მთავრობა და ირჩევს პარლამენტი, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა. ასევე, არ სუსტდება პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი, რადგან ეროვნული ბანკის საბჭოში მას კვლავ რჩება საბჭოს წევრების წარდგენის უფლება, საბჭოს არჩეული ორი წევრი კი, მათგან ერთი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საფინანსო-საზედამხედველო სააგენტოს მუშაობაშიც მონაწილეობს.

◆ ◆ ◆

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი თავსებადია ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასთან და დღის წესრიგთანაც.

ეს მოდელი ფუნქციონირებს ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში. ამ ტიპის პრაქტიკა არსებობს პოლონეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ესტონეთში, ნორვეგიაში, ფინეთში, შვედეთში. ამიტომ, საფუძველს მოკლებულია საუბარი რაიმე სახის შეუსაბამობაზე.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შეუძლებელი იყო 10 დღეში ხარისხიანი ალტერნატივის მომზადება, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლის მიერ გამართული კონსულტაციებისას დარგის სპეციალისტებისთვის არაფერი უკითხავთ.

გაურკვეველია, რა ნიშნით აწარმოებდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს.

პრეზიდენტის დავალებით გამართულ შეხვედრაზე მხოლოდ ის არასამთავრობოები მიიწვიეს, რომლებიც უკვე მიღებულ კანონზე ვეტოს დადებას ემხრობოდნენ. მეტიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ მიუწვევიათ ის პროფილური ორგანიზაციები, რომლებსაც ეროვნული ბანკის შესახებ კანონი უშუალოდ ეხებოდათ, თავდაპირველ ინიციატივას ეწინააღმდეგებოდნენ და პარლამენტში კანონის განხილვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი აცხადებენ, რომ საკანონმდებლო ორგანომ მათი ძირითადი შენიშვნები გაითვალისწინა და არსებული რედაქცია მათთვის მისაღებია.

პრეზიდენტმა კანონზე ვეტოს დადება დააანონსა ისე, რომ კანონპროექტის საბოლოო ვარიანტს არ იცნობდა.

◆ ◆ ◆

კანონპროექტზე მუშაობისას პარლამენტმა გაითვალისწინა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა:

1. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტებას (საბჭოს შემადგენლობა, საბჭოს წევრების არჩევისა და გათავისუფლების საკითხები);
2. საბჭოს წევრების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
3. სააგენტოს საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულებას;
4. სააგენტოს უფროსის კომპეტენციას, არჩევასა და გათავისუფლებას;
5. სააგენტოს დაფინანსებას;
6. სააგენტოს შიდა და გარე აუდიტს;
7. სააგენტოს შიდასტრუქტურულ მოწყობას;
8. სააგენტოს საბჭოს წევრებისა და თანამშრომლების სამართლებრივი დაცვის გარანტიებს;
9. ბოლო ინსტანციის კრედიტორის უფლებამოსილების განხორციელებას;
10. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენის წესს;
11. სააგენტოს ანგარიშვალდებულებასა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების წესს;

◆ ◆ ◆

ნაციონალური მოძრაობა კანონპროექტის განხილვის დაწყებისთანავე ამზადებდა პრეზიდენტის ვეტოსთვის ნიადაგს. საპარლამენტო უმცირესობის წევრები აცხადებდნენ, რომ ცვლილებების მიზეზი პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტებაა, რადგან გიორგი მარგველაშვილს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების წარდგენის უფლება აქვს.

პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ პარლამენტი მისი ადმინისტრაციის მიერ მომზადებულ პროექტს არ დაამტკიცებს და ვეტოს დაძლევას შეძლებს. გიორგი მარგველაშვილის ქმედება ნაციონალური მოძრაობის პოზიციის გამყარებას ემსახურება.

ეროვნული ბანკის შესახებ ცვლილებების განხილვისას პარლამენტისთვის ალტერნატიული პროექტის წარდგენას გეგმავდა ნაციონალური მოძრაობა, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო ნაციონალების მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად არ შესულა.

◆ ◆ ◆

— მთავარი პრობლემა არ არის საბანკო ზედამხედველობის ეროვნული ბანკიდან გამოსვლა, რადგან არის ქვეყნები, სადაც ინსტიტუციურად საბანკო ზედამხედველი, არათუ ეროვნულ ბანკთან არსებულ ფორმატშია დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, არამედ საერთოდ გამოსულია ცენტრალური ბანკიდან (პოლონეთი, ფინეთი, შვეიცარია, ესტონეთი, ლატვია, შვედეთი, დანია, ისლანდია, მალტა, მონტენეგრო, ნორვეგია, თურქეთი, იაპონია და ა.შ), არამედ ის, რომ ბევრი დებულება ფუნქციათა გამიჯვნის საკითხებში წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო და დუბლირების ელემენტებს ატარებდა. პრობლემური იყო სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტებისა და ბოლო რიგის კრედიტორის უფლებამოსილების განხორციელების საკითხი, — განაცხადა საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ცუცქირიძემ.

# 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეები გამოუძიებელია



სახალხო დამცველი იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 30 აგვისტოს იძულებით გაუჩინარებულთა საერთაშორისო დღე აღინიშნება.

— 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ კონვენციისა და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ თანახმად, იძულებითი გაუჩინარება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულადაა აღიარებული.

საქართველოში გაუჩინარებულთა პრობლემა მტკივნეულად დგას და ძირითადად შეიარაღებულ კონფლიქტებს უკავშირდება. 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად 2 ათასამდე პირი ითვლება უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულად, მათ შორის დაახლოებით 1500 ეთნიკურად ქართველი, 200 ეთნიკურად აფხაზი და 100 ეთნიკურად ოსი, როგორც შეიარაღებული, ისე სამოქალაქო პირი; ხოლო 2008 წლის ომის შემდეგ — 6 ეთნიკურად ოსი და 35 ეთნიკურად ქართველი.

საქართველოს სახალხო დამცველი პატივს მიაგებს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ადამიანების ხსოვნას, უსამძიმრებს მათ ოჯახებსა და ახლობლებს და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ასევე დე ფაქტო მთავრობებს სოხუმსა და ცხინვალში, არსებითად ითანამშრომლონ გაუჩინარებულთა მოძიებისა და მათი ოჯახების დახმარების მიზნით.

მისასალმებელია, რომ თბილისსა და სოხუმს შორის თანამშრომლობით 2013-2015 წლებში მოხდა სამარხების გახსნა აფხაზეთში, პირთა იდენტიფიცირება და გადმოსვენება, თუმცა, სამწუხაროა, რომ ასეთივე წარმატებით არ მიმდინარეობს თანამშრომლობა თბილისსა და ცხინვალს შორის. ამის გარდა, დღემდე გამოუძიებელია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეები.

2014 წლის 23 ივლისს საქართველოს მეოთხე პერიოდული ანგარიშის მიმართ გაკეთებულ დასკვნით შენიშვნებში გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეშფოთება გამოხატა 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტისა და მის შემდეგ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიების, დამნაშავეთა იდენტიფიცირებისა და მათი პასუხისგებაში მიცემის გაჭიანურების გამო. კონკრეტულად, ეს ეხება იძულებით გაუჩინარების, სამოქალაქო მოსახლეობისა და სხვა დაცულ პირთა მიმართ არაპროპორციული და განურჩეველი ძალის გამოყენების, უკანონო დაკავებების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ქონების განადგურებისა და ჩამორთმევის საქმეებს, რომლებიც თავისი არსით შესაძლოა წარმოადგენდეს ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირთა დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება. ერთი მხრივ, აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოს იურისდიქციაში მსგავს ქმედებათა პრევენციას, ხოლო მეორე მხრივ ხელშეკრულების რატიფიცირება იქნება ნათელი დასტური იმისა, რომ სახელმწიფო ეფექტიანად ებრძვის ამ საერთაშორისო დანაშაულს. აღნიშნულის თაობაზე საუბარია 2013 და 2014 წლების სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშებში.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეების დროული გამოძიების თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტმა ორჯერ, 2014 წლის 1 აგვისტოს და 2015 წლის 3 ივლისის დადგენილებებით გაიზიარა, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს საომარი მოქმედებების დროს და შემდგომ პერიოდში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულთა საქმეების, მათ შორის, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საქმეების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება.

ამას გარდა, 2014 წლის 1 აგვისტოს დადგენილებაში საქართველოს პარლამენტმა ასევე გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და მოუწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაიწყოს 2006 წლის 20 დეკემბრის „იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების პროცესი, თუმცა ორივე რეკომენდაცია ამ დრომდე შეუსრულებელი რჩება.

ინტერპრესნიუსი



# სასტუმროებს ლარის გაუფასურებამ მოგება შეუმცირა

**ლარის გაუფასურებამ სასტუმრო ბიზნესს მოგება შეუმცირა. საოჯახო ტიპის სასტუმროების მფლობელები ტურისტულ სეზონს აფასებენ და ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობენ.**

მიმდინარე წლის ტურისტული სეზონით უკმაყოფილოა ბათუმში მდებარე სასტუმრო „ვეგას" მფლობელი თენგიზ ლომინაძე.




მისი თქმით, გასულ წელთან შედარებით, მისი ბიზნესის შემოსავლები დაახლოებით 40 პროცენტით შემცირდა. მიზეზად ლომინაძე მოსახლეობის შემცირებულ მსყიდველობით უნარს ასახელებს.

ლომინაძე აცხადებს, რომ, ლარის გაუფასურების მიუხედავად, მას სასტუმროში ნომრის ღირებულება არ გაუზრდია, თუმცა დამსვენებლები ამანაც ვერ მოიზიდა.

— ხალხს უჭირს და ერიდება ხარჯვას, — აცხადებს ლომინაძე.

სასტუმრო „ვეგაში" 1 სტანდარტული ნომრის ფასი 80 ლარია, ნახევრად ლუქსი 120 ლარი ღირს, ხოლო ლუქსის ფასი 160 ლარს შეადგენს.

◆ ◆ ◆

ტურისტების სიმცირეზე საუბრობენ ბათუმის საოჯახო ტიპის სასტუმრო „აპოლოშიც".

სასტუმროს ადმინისტრატორი ნუკრი კობალაძე ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ სასტუმრო წელს გაიხსნა და მისი რეკლამირება ვერ მოესწრო.

სასტუმრო „აპოლოში" სტანდარტული ორსაწოლიანი ნომერი 150 ლარი ღირს, სტანდარტული ორადგილიანი — 180 ლარი, ხოლო საოჯახო აპარტამენტი — 250 ლარი.

◆ ◆ ◆

ტურისტული სეზონით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი არიან ბათუმის სასტუმრო „ფერიაში", თუმცა აცხადებენ, რომ, რომ არა ლარის ასეთი მკვეთრი გაუფასურება და მოსახლეობის გაჭირვება, ტურისტების უფრო მეტი აქტივობა იქნებოდა.

სასტუმროს ადმინისტრაციის ინფორმაციით, წელს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ტურისტების 99 პროცენტი უცხოელი იყო.

— ჩამოსულები იყვნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან. ქართველები თითქმის არ გვყავდა, სად აქვთ ქართველებს დასასვენებელი ფული? ქვეყანაში გაჭირვებაა, — გვითხრეს ადმინისტრაციაში.

◆ ◆ ◆

პრობლემები იყო მთის კურორტებშიც. ბაკურიანის საოჯახო ტიპის სასტუმრო „ლაშა-გიორგის" მფლობელი ილონა ბოგიშვილი აცხადებს, რომ წელს ტურისტები დაახლოებით იმავე რაოდენობით იყო, რაც გასულ წელს, თუმცა, ლარის გაუფასურების გამო, შარშანდელზე ნაკლები მოგება ნახა.

— ლარის გაუფასურებამ ყველანაირი ხარჯი გაგვიზარდა, თუმცა ნომრის ღირებულება არ გავზარდეთ. გვინდოდა, დამსვენებლები მოგვეზიდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რა მოგებასაც ველოდებოდით, იმდენი არ დაგვრჩა, — აცხადებს ბოგიშვილი.

სასტუმრო „ლაშა-გიორგიში" 1 ნომრის ღირებულება 50 ლარია.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ბაკურიანის საოჯახო ტიპის სასტუმრო „ფაგოსშიც".

ადმინისტრაციის ინფორმაციით, ტურისტების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გაზრდილი იყო, თუმცა კლიენტის დაკარგვის გამო ვერ გაზარდეს ფასი და მოგება ნაკლები დარჩა.

„ფაგოსში" 1 ნომრის ღირებულება 45 ლარია.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

# უცნობ მილიონერს იუბილე ფუნიკულიორზე 3 მილიონი დაუჯდა

28 აგვისტოს უპრეცედენტო დაბადების დღის ზეიმი გაიმართა ფუნიკულიორზე.

რა ხდებოდა ამ დღეს მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე და ვინ არის უცნობი მილიონერი, რომელმაც თბილისში დაბადების დღე პომპეზურად აღნიშნა?

,,ნიუპოსტის" ინფორმაციით, ეს პიროვნება ბიძინა ივანიშვილის მეგობარია.

როგორც წყარომ განაცხადა, ღონისძიებისთვის სპეციალური ძვირადღირებული აპარატურა იქნა ჩამოტანილი.

— ისიც კი ითქვა, რომ მთაწმინდის პარკთან არსებული ტუალეტები დაიწუნეს და ისიც თავად გააკეთა, — ამბობს წყარო.

სპეციალურად ამ დღისთვის, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ტერიტორიას სპეციალური დაცვის სამსახური აკონტროლებდა. მთლიანად იყო გადაკეტილი მიმდებარე ტერიტორია და წინასწარ იყო დაჯავშნილი იქ არსებული რესტორნები.

წყაროს ცნობით, უცნობი მილიონერი ქართველია, თუმცა ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს.

◆ ◆ ◆

დიდი დაბადების დღის შესახებ სოციალურ ქსელშიც დაიწერა. ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებელი ირინა გეგეჭკორი წერს, რომ იუბილე უცნობ მილიონერს დაახლოებით 3 მილიონი დაუჯდა.

— 3 დღეა მთელი ფუნიკულიორი რესტორნებიან-პარკიანად დაკეტილია. ვინმე უცნობი მოსკოველი ქართველი საკუთარ დაბადების დღეს ზეიმობს! — წერს ირინა გეგეჭკორი.

მისი თქმით, 2 დღით ადრე, უსაფრთხოების მიზნით, ფუნიკულიორისკენ მიმავალი გზა ისე ჩაკეტეს, რომ ბუზი ვერ შეფრინდებოდა.

— იქ დასაქმებული ოქროყანის მკვიდრი მოსახლეობის გადმოცემით, რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაცემული იყო 700-კაციანი კარავი, სადაც გამოფენილი იყო ქართული ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნიმუშები, არყის სახდელი ქვაბები, სადაც, სავარაუდოდ, ადგილზევე გამოიხდებოდა არაყი; ღვინით სავსე ქვევრები, ქართული ურემი და ალაგ-ალაგ თივის ზვინები. დასაგემოვნებლად გამოტანილი იყო ქართული თაფლი, ფიჭა, ჩურჩხელები და ქართული ყველის ნაირსახეობები. ჩემს სახლამდეც აღწევს ქართული საცეკვაო მელოდიების ხმა, — წერს ფეისბუქში ირინა გეგეჭკორი.

მისი თქმით, საზეიმო ფეიერვერკი 35 წუთი გრძელდებოდა.

— ჩემი შეშინებული ძაღლი ტუალეტში ჩაიკეტა და ცოცხალი თავით აღარ გამოდის, — წერს ფეისბუქის მომხმარებელი.

ირინა გეგეჭკორი იუბილარისთვის მილოცვასაც არ ივიწყებს.

— ჩემო უცნობო იუბილარო, გისურვებთ, რომ კიდევ 100 წელი ამგვარი ხალისით და შემართებით იზეიმოთ თქვენი დაბადების დღე, გაამდიდროთ საქართველოს ბიუჯეტი და თუნდაც ამ დამსახურების გამო შემორჩეს თქვენი სახელი საქართველოს ისტორიის ფურცლებს!



ღმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი ქართველები, რომ ხშირად მიაგონ ამგვარი პატივი საკუთარ თავს და მაშინ ეგებ ქართველ ერსაც ეშველოს რამე და ლარიც კი გამყარდეს! — წერს ირინა გეგეჭკორი.

# კახელი გლეხები სუბსიდიას ისევ მიიღებენ

## 35 თეთრი რქაწითელსა და მწვანეზე, 15 თეთრი — საფერავზე

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კახელი მევენახეები წელსაც მიიღებენ სუბსიდიას, თუმცა მთავრობა ყურძნის ჩასაბარებელი ფასის დადგენაში აღარ ჩაერევა.

გარდა ამისა, მთავრობა აანაზღაურებს სეტყვის შედეგად მიყენებულ ინფრასტრუქტურულ ზარალს და დაზარალებულებს უსასყიდლოდ გადასცემს მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს, თუმცა, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, მთავრობა არ გასცემს კომპენსაციას მოსავლის განადგურებით მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად.

სუბსიდირების მოცულობა იგივე იქნება, რაც იყო შარშან: 35 თეთრი რქაწითელსა და კახურ მწვანეზე, 15 თეთრი — საფერავზე, თუმცა წელს, განსხვავებით გასული წლისგან, ყურძნის საფასურს მევენახეები მიიღებენ ბანკებში და ღვინის კომპანიების ლოდინი არ მოუწევთ.

◆ ◆ ◆

თუმცა სწორედ ღვინის კომპანიები გადაწყვეტენ, რა ფასად ჩაიბარონ ყურძენი მევენახეებისგან.

როგორც ლაგოდეხელი მევენახე ვარლამ მეტრეველი ამბობს, თუ თეთრი ყურძნის ფასი, ჯამში, 1 ლარზე ნაკლები იქნება, მევენახეები ზარალში დარჩებიან, ვინაიდან 1 ჰექტარი ვენახის მოვლა წლის განმავლობაში 2-3 ათასი ლარი მაინც ჯდება.

ვარლამ მეტრეველი იმედოვნებს, რომ მევენახეებს ღვინის კომპანიებთან მთავრობა უშუამდგომლებს და ჩაბარების ფასი მათთვისაც მისაღები იქნება, თუმცა, როგორც რადიო „თავისუფლებას" ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი სამანიშვილმა უთხრა, წელს ყურძნის ფასის წარმოქმნაში მთავრობა არ ჩაერევა.

— გვინდა, რომ ყურძნის ფასი დაარეგულიროს ბაზარმა. მევენახეობა-მეღვინეობის დარგი საკმაოდ წარმატებული დარგია, ამიტომ შესაძლებელია, რომ ის დამოუკიდებლად, ჩარევის გარეშე რეგულირდებოდეს, — განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

ის წელს იმ ფასს არ ელოდება, რაც შარშან იყო, რადგან ყურძენზე მოთხოვნილება ნაკლებია, ვიდრე მიწოდება — მოლოდინის საწინააღმდეგოდ, საგრძნობლად შემცირდა ღვინის ექსპორტი. შესაბამისად, ღვინის კომპანიებს ნაშთის სახით დარჩათ შარშანდელი ღვინის მნიშვნელოვანი ნაწილი.

გიორგი სამანიშვილის თქმით, 20 აგვისტოს სეტყვის მიუხედავად, წელსაც ყურძნის კარგი მოსავალი იქნება.

— დაახლოებით 200 ათას ტონა მოსავალს ველოდებით კახეთში. აქედან დაახლოებით 130 ათასი ტონა გადამუშავდება ღვინის კომპანიების მიერ, — უთხრა გიორგი სამანიშვილმა რადიო „თავისუფლებას".



◆ ◆ ◆

20 აგვისტოს მოსულმა სეტყვამ კახეთსა და რაჭაში მხოლოდ შენობების სახურავები როდი დააზიანა. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ერთწლიან და მრავალწლიან ნარგავებს, თითქმის მთლიანად განადგურდა წლის მოსავალი.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ მთავრობა მხოლოდ ინფრასტრუქტურული ზარალის ანაზღაურებას აპირებს.

დაზარალებულები ასევე მიიღებენ სპილენძის შემცველ მცენარეთა დაცვის საშუალებებს ვენახებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების გადასარჩენად. ლევან დავითაშვილის თქმით, მოსავლის კომპენსაციაზე მთავრობა არ აპირებს თანხების გაცემას, რადგან მეორე წელიწადია, არსებობს აგროდაზღვევის პროგრამა.

— ვცდილობთ, რომ ეს პროგრამა იყოს საყოველთაო და მასობრივად წავახალისოთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, დააზღვიონ თავიანთი მოსავალი რისკებისაგან და, პირველ რიგში, ბუნებრივი მოვლენებისგან, — ამბობს მინისტრის მოადგილე.

ამ პროგრამაში სახელმწიფოს ფინანსური მონაწილეობა 60 პროცენტამდეა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს თანადაფინანსება გაიზრდება 70 პროცენტამდე სხვადასხვა კულტურის მიხედვით.

— მთავრობამ რომ გასცეს კომპენსაციები, მაშინ თვითონვე მოახდენს აგროდაზღვევის სისტემის დისკრედიტაციას, — ასკვნის ლევან დავითაშვილი.

რადიო „თავისუფლება"

# მთავრობა ღვინის კომპანია გრუზვინპრომს" 11.620.000 ლარად ყიდის

ეკონომიკის სამინისტრომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის „გრუზვინპრომის" საპრივატიზაციო ფასი 11.620.000 ლარით განსაზღვრა.



შპს-ს 100%-იანი წილი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისდება.

მთავრობა კიდევ ერთი სახელმწიფო ღვინის კომპანიის, „აკურას" გასხვისებას გეგმავდა.

ორივე კომპანია მთავრობამ 2015 წლის თებერვალში ლარის დასტაბილურების მიზნით გამოცხადებულ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეიტანა.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ „გრუზვინპრომისადმი" პოტენციურ ინვესტორთა მხრიდან დაინტერესება არსებობს. რაც შეეხება შპს „აკურას", სამართლებრივი დავის მიმდინარეობის გამო ამ ეტაპზე შეჩერებულია აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხი.

ამ დრომდე სააგენტოს მიერ საინვესტიციო პირობებით პრივატიზებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 6 ობიექტი, რომელთა პრივატიზებიდან შემოსული თანხა 47.409.626 აშშ დოლარს შეადგენს.

კომერსანტ.გე

# ევროკავშირში მატარებლის მგზავრებსა და მათ ბარგს შეამოწმებენ

BBC-ის ცნობით, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბერნარ კაზენეუვმა იმ ახლად შემოღებული წესის შესახებ ისაუბრა, რომელიც მიმართულია ევროპაში სარკინიგზო ტრანსპორტში უსაფრთხოების განმტკიცებისკენ. ეს არის სადგურებზე მგზავრთა პირადი ნივთებისა და ბარგის შემოწმება, ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით კანონმდებლობის გამკაცრება, ასევე, ევროპული ქვეყნების სპეცსამსახურებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა.



გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მაიზიერმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სარკინიგზო ტრანსპორტით ყოველდღიურად მოსარგებლე მილიონობით ადამიანის შემოწმების უცბად დაწყება შეუძლებელია, მაგრამ ამ სფეროში უკეთესობის მიღწევა შეიძლება

შეხვედრაში საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდებისა და შვეიცარიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრა მას შემდეგ დაინიშნა, რაც ამსტერდამი-პარიზის რეისზე გასულ კვირას თავდასხმა მოხდა.

პირველი

# ლევან გვაზავას საბედისწერო გასროლა

28 აგვისტოს, ღამით, თბილისი-კოჯრის გზატკეცილზე, ოქროყანაში, სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან გვაზავა, მისი დეიდაშვილი რეზო კალომლეწავი კი ადგილზე გარდაიცვალა.

ლევან გვაზავა ინგოროყვას კლინიკაში, რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს, რეზო კალომლეწავი კი საკუთარ სახლში გადაასვენეს.

ლევან გვაზავას ოპერაცია ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა მძიმეა.

◆ ◆ ◆

29 აგვისტოს მთავარმა პროკურატურამ აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

მისი ინფორმაციით, 2015 წლის 28 აგვისტოს, დაახლოებით 22:00 საათზე, ილია ქერტყოევი, ლევან გვაზავა, რევაზ კალომლეწავი და გურამ თათელაძე თბილისში პანტიანიდან ბრუნდებოდნენ, სადაც მათ ლევან გვაზავას ნათესავთან მარიამობის დღესასწაული აღნიშნეს.

მერსედეს მლ-ის მარკის ავტომანქანას ილია ქერტყოევი მართავდა.

ავტომანქანის წინა სავარძლებზე ისხდნენ ილია ქერტყოევი და რევაზ კალომლეწავი, ხოლო უკან — ლევან გვაზავა და გურამ თათელაძე.

გზაში ლევან გვაზავამ უმიზეზოდ ამოიღო გლოკის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, თუმცა გურამ თათელაძის მოთხოვნით შეინახა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ავტომანქანა იმყოფებოდა თბილისი-კოჯრის გზატკეცილის 2156-ე კილომეტრზე, ავტომანქანის სალონში ლევან გვაზავას კუთვნილი იარაღიდან მოხდა გასროლა, რის შედეგადაც სასიკვდილო დაზიანება მიიღო ლევან გვაზავას დეიდაშვილმა რევაზ კალომლეწავმა და შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ ლევან გვაზავამ ცეცხლსასროლი იარაღით მიიყენა თვითდაზიანება თავის არეში, რის შემდგომაც იგი გადაყვანილ იქნა ინგოროყვას კლინიკაში.

◆ ◆ ◆

ზემოაღნიშნული გარემოებები და მანქანაში მომხდარი ორი გასროლის ფაქტი დადასტურებულია როგორც შემთხვევის თვითმხილველი, ასევე შემთხვევის ადგილზე მისული მოწმეების ჩვენებებით, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, რის შედეგადაც ნანახი და ამოღებულია გლოკის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი მხოლოდ ორი მასრა, ტყვიის ერთი გულა და ლევან გვაზავას კუთვნილი „გლოკის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი.

◆ ◆ ◆

პროკურატურა გამორიცხავს ლევან გვაზავასა და რევაზ კალომლეწავზე თავდასხმის ვერსიას.

— ამ ეტაპზე მიმდინარეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო, დაქტილოსკოპიური, ბიოლოგიური, ბალისტიკური, ტრასოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზები, რომელთა შედეგების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდება კვალიფიკაცია და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, რის თაობაზეც ეცნობება საზოგადოებას, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

◆ ◆ ◆

თავდასხმის ვერსიას ლევან გვაზავას ახლობლებიც გამორიცხავენ.

მათი თქმით, ლევან გვაზავა ორ დეიდაშვილთან და კიდევ ერთ ახლობელთან ერთად, რომელიც ავტომანქანას მართავდა, მარიამობის აღსანიშნავად მისი ძმის სახლში, პანტიანში იმყოფებოდა. უკან დაბრუნებისას ავტომანქანაში ლევან გვაზავა იარაღმა შეაწუხა და ბუდიდან ამოიღო. ამ დროს შემთხვევით გაუვარდა და ტყვია მის წინა სავარძელზე მჯდომ რეზო კალომლეწავს მოხვდა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

— ამის შემდეგ ლევანმა თვითმკვლელობა ცადა, იგივე იარაღი ყბასთან მიიბჯინა და გასროლა განახორციელა, თუმცა ტყვიას ტვინამდე არ მიუღწევია, რადგან ის ცხვირის ძვალმა გააჩერა. შესაბამისად, ლევანს სახის არე აქვს დაზიანებული, — აცხადებენ ახლობლები.



ლევან გვაზავა და რეზო კალომლეწავი

◆ ◆ ◆

ლევან გვაზავას ოჯახის ადვოკატ დარეჯან გილაშვილის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე ფაქტზეა აღძრული და არა — ლევან გვაზავას წინააღმდეგ. ჯერჯერობით ადვოკატი პროკურატურაში ორდერის შეტანას არ აპირებს.

— თუკი ლევან გვაზავას მიმართ რაიმე პრეტენზიები გაჩნდება, ბუნებრივია, მაშინვე ჩავერთვები. ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ არის. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. დაველოდებით ექსპერტიზის დასკვნას, — განაცხადა ადვოკატმა.

◆ ◆ ◆

ლევან გვაზავა არის წესიერი კაცი და მასზე მუქარა არ შეიძლებოდა ყოფილიყო, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს შს მინისტრის მოადგილე ზურაბ გამეზარდაშვილმა განუცხადა, რომელიც ინგოროყვას კლინიკაში იმყოფებოდა.

ინგოროყვას კლინიკაში 28 აგვისტოს ასევე მივიდნენ საქართველოს მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მათ შორის თავად შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი სოსო ალავიძე და ნაციონალური მოძრაობის წევრები: გივი თარგამაძე და ლევან თარხნიშვილი.

◆ ◆ ◆

რეზო კალომლეწავი შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი იყო.

როგორც მისი ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, იგი შსს-ში 2004 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იმ დროისათვის რეზო კალომლეწავი შს თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო.

ბოლო დეკლარაცია რეზო კალომლეწავმა 2011 წლის აპრილში შეავსო და მას მაშინ თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა.

რეზო კალომლეწავს მეუღლე და 2 შვილი დარჩა.

◆ ◆ ◆

მომხდარზე გამოძიება დაიწყო განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სოციალურ მედიაში გავრცელდა ჟურნალისტ დარეჯან ლიპარტელიანის ინფორმაცია, რომლის თქმით, 2007 წელს ლევან გვაზავამ მომღერალი მამუკა ონაშვილი დაჭრა. ამის შესახებ ლიპარტელიანმა ჩანაწერი ფეისბუქის პირად გვერდზე გამოაქვეყნა. მისი თქმით, რესტორანში, სადაც გვაზავამ მეუღლეს, ნინო ორდენიძეს, დაბადების დღე გადაუხადა, სუფრის თამადა მამუკა ონაშვილი იყო.

— 2007 წელი იყო. მე გაზეთ „ვერსიაში“ ვმუშაობდი. ერთ-ერთ რესტორანში ლევან გვაზავამ თავის ახლად შერთულ ცოლს ნინო ორდენიძეს დაბადების დღე გადაუხადა. თამადა მამუკა ონაშვილი იყო, — წერს ჟურნალისტი, — გაურკვეველი მიზეზის გამო მამუკა ონაშვილს მაშინ გვაზავამ, რომელიც ცნობილია, რომ პათოლოგიური სიმთვრალით ხასიათდება, ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა და ფეხში დაჭრა.

ჟურნალისტი ამბობს, რომ ეს ფაქტი რესტორანში მომუშავე პერსონალმაც დაადასტურა, ონაშვილმა კი საავადმყოფოში ამოყო თავი.

— მომხდარზე კომენტარი ლევან გვაზავასაც ვთხოვე. მან კომენტარი არ გააკეთა, მაგრამ მუქარის ტონით შემომითვალა, სტატია არ დაბეჭდო, თორემ საკადრის პასუხს გაგცემ, მოვდივარ შენთან შესახვედრადო! მეც შევუთვალე, კი ბატონო, მოდი, გელოდები-თქო. გვაზავას მაშინ ეყო ჭკუა და რედაქციაში ჩემთან შესახვედრად არ მოვიდა, მე კი შევუთვალე, ბატონო ლევან, კარგად დაიმახსოვრეთ, „ტყვია ყოველთვის სხვისკენ არც ისვრის და არც ვარდება-თქო“, — წერს დარეჯან ლიპარტელიანი.


## თოდუების მალამოები და მკურნალობა

ყველა ადამიანს აუცილებლად სჭირდება ორგანოების გაწმენდა და ამის მიხედვით ხდებოდა ორგანიზმის და შინაგანი ორგანოების მთლიანად გასუფთავება.

ქალბატონი ლამარა თოდუა თოდუების ერთადერთი წარმომადგენელია, რომელმაც დაიმსახურა ხალხის დიდი ნდობა და მართლაც დიდი მონდომებითა და ხალხის სიყვარულით აკეთებს დიდ საქმეს.

**არჩენს კანის ნებისმიერ დაავადებებს და თქვენივე ხელით შეგიძლიათ, მისი რჩევებით, გაიკეთოთ ორგანიზმის გაწმენდა. ამ გაწმენდით მოიწესრიგებთ შინაგან ორგანოებს და ადვილად შესძლებთ თქვენს სხეულზე გარეგანი პრობლემების მოწესრიგებას.**

**მოგირჩენთ დისბაქტერიოზს. მკერდის გამაგრებას, ხსნის მეჭეჭებს, დამწვრობას და მისგან დარჩენილ ლაქებს. ერთი პროცედურით მოგაშორებთ ტილებს. ბუნებრივი საშუალებებით გაგიწმენდთ კანს. ამზადებს მკვებავ და დამატენიანებელ კრემებს.**

**კურნავს ბუასილს, პროსტატიტს, ჰაიმორიტს, სოკოვან დაავადებებს, კუჭის წყლულს, ასუფთავებს სისხლს, მოგაშორებთ მარილებსა და სხვადასხვაგვარ ჭიებს.**

თოდუების საგვარეულო მალამოებმა რამოდენიმე საუკუნის წინ მოიხვეჭა სახელი. ისინი ყოველთვის ძალიან პოპულარულები იყვნენ და ყოველთვის იმსახურებდნენ ქება დიდებას თავიანთი კეთილი და ღვთისმიერი ყოფაქცევითა და კეთილგანწყობით ადამიანების მიმართ.

თოდუების ერთ-ერთ წარმომადგენელ ლამარა თოდუას ასი ათასობით მადლიერი ხალხი ჰყავს. ქალბატონი ლამარა დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობასაც, არ არჩევს ეროვნებას, მარტოხელებს ძალიან ეხმარება.

**ოთარ ჭილაძის ქ.№166,**
**№10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან.**
**230 62 52; 599 16 10 82.**


## შსს-მ დედოფლისწყაროში „სილქნეტის“ სერვისცენტრის გაქურდვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თეიმურაზ ქ. ქურდობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულმა ღამით დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე „სილქნეტის“ სერვისცენტრის



საკეტი დააზიანა, შენობაში ფარულად შეაღწია და სათვალთვალო ვიდეოკამერა, 13 ცალი მოდემი, კომპიუტერის მონიტორი და კავშირგაბმულობის ტექნიკის დეტალები მოიპარა. მომხდარი ქურდობის შედეგად კომპანია „სილქნეტმა“ 602 ლარის ოდენობით ზარალი მიიღო.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თეიმურაზ ქ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე დააკავეს. ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება მიმდინარეობს სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ინტერპრესნიუსი

## შსს-მ სამცხე-ჯავახეთში უკანონო სახერხი საამქროები დალუქა

სამართალდამცველებმა სამცხე-ჯავახეთში უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე ამოიღეს და უკანონო სახერხი საამქროები დალუქეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 5 პირი: 1992 წელს დაბადებული კახაბერ ფ. 1984 წელს დაბადებული გიორგი გ. 1976 წელს დაბადებული დავით ტ. 1972 წელს დაბადებული ზაური გ. და 1987 წელს დაბადებული ზურაბ გ. ტყით უკანონოდ სარგებლობის, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე ამხილეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბორჯომის რაიონში მხილებულების კუთვნილი უკანონო სახერხი საამქროები დალუქეს და უკანონოდ მოპოვებული წიწვოვანი ჯიშის 6,68 კუბ.მეტრი სამასალე მერქანი, დაუფირნიშებელი წიწვოვანი ჯიშის, 4,2 კუბ.მეტრი ხის მრგვალი მორი და 25 კუბ.მეტრი დამუშავებული ფიცარი ამოიღეს.

გამოძიება ტყით უკანონოდ სარგებლობის, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავების, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე ხე-ტყის ტრანსპორტირებისა და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის ან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების უქონლობის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და საოპერაციოც სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგარანტიოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2015, 31 აგვისტო, №203

# თურქეთმა ჯიჰადისტთა პოზიციები დაბომბა



ანკარა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. თურქულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა ჯიჰადისტთა პოზიციები სირიაში დაბომბეს. დაზუსტებული ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არ გავრცელებულა. საჰაერო ოპერაციებში ჩართვის გადაწყვეტილება თურქეთმა ერთი კვირის წინ მიიღო. მანამდე ანკარამ საერთაშორისო კოალიციას ორი ავიაბაზის გამოყენების უფლება მისცა.

პროვინცია მარდინში კი, სირიის საზღვართან ახლოს, ნაღმზე ავტობუსი აფეთქდა. შედეგად 24 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 10 სამართალდამცველი. ამის შესახებ თურქული მედია იტყობინება.

წინასწარი ვერსიით, თავდასხმა „ქურთების მუშათა პარტიის“ წევრებმა განახორციელეს. სამართალდამცველები აფეთქების ორგანიზატორებს ეძებენ.

ბოლო რამდენიმე თვეა, თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონში ქურთ მებრძოლებსა და ქვეყნის არმიას შორის დაპირისპირებამ ინტენსიური სახე მიიღო.

ივლისის შუა რიცხვებში თურქეთის არმიამ რამდენიმე ოპერაცია ჩაატარა „ქურთების მუშათა პარტიის“ წინააღმდეგ. საპასუხოდ, ქურთი მებრძოლები ხშირად ესხმიან თავს სამხედროებს.

ამ ფონზე, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა. „ბიბისის“ ცნობით, მათ შორის ორი პოლიტიკოსი ქურთების მხარდამჭერი პარტიიდანაა.

ვადამდელ არჩევნებამდე, რომელიც ნოემბერში უნდა ჩატარდეს, დროებით მთავრობას აჰმედ დავუთოღლუ ჩაუდგება სათავეში.

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ ერდოღანმა გასულ კვირას განაცხადა, ვინაიდან პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავთოღლუმ კოალიციური მთავრობა ვერ ჩამოაყალიბა.

ივნისში ჩატარებული არჩევნების შედეგად დავუთოღლუს მმართველმა პარტიამ უმრავლესობა ვეღარ მოიპოვა, თუმცა არჩევნები განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ქურთების მხარდამჭერი პარტიისთვის.

კოალიციური მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით კი მოლაპარაკებები მთავარ ოპოზიციურ პარტიებთან მარცხით დასრულდა. როგორც მოსალოდნელია, ვადამდელი არჩევნები პირველ ნოემბერს გაიმართება.

# პუტინი უკრაინას ადანაშაულებს

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინის სამთავრობო ძალები დონბასის დასახლებულ რაიონებზე იერიშების გაგრძელებაში დაადანაშაულა. აღნიშნული განცხადება საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის ლიდერებს შორის გამართული სატელეფონო საუბრისას გააკეთა. ფრანსუა ოლანდმა, ანგელა მერკელმა და ვლადიმერ პუტინმა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში არსებული ვითარება განიხილეს. ეს ბოლო ერთი თვის განმავლობაში პირველი სატელეფონო საუბარია, რომელიც მათ შორის შედგა.



ვლადიმერ პუტინის შეფასებით, კონფლიქტის პოლიტიკური გზებით მოგვარებას ალტერნატივა არ აქვს.

ლიდერებმა მხარი დაუჭირეს ოფიციალურ კიევსა და სეპარატისტებს შორის მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, დონბასში პირველი სექტემბრიდან ცეცხლი სრულად უნდა შეწყდეს.

ინფორმაციას კრემლის პრესსამსახური ავრცელებს.

დონბასს სპეციალური სტატუსი არ ექნება. ამის შესახებ, „უნიანის“ ცნობით, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა.

უკრაინის კონსტიტუციის პროექტიდან ამოიღეს 92-ე მუხლი, რომელიც დეცენტრალიზაციას ეხება და დონბასის ცალკეული რაიონებისთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა.

პოროშენკომ განაცხადა, რომ ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტს მხოლოდ რუსეთი აკრიტიკებს. მისივე თქმით, ის არ დაუშვებს, რომ კონსტიტუცია ქვეყნის გარეთ დაიწეროს.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დასავლეთი დეცენტრალიზაციის ფარგლებში უკრაინის საკონსტიტუციო რეფორმას მიესალმება.

დეცენტრალიზაციის შესახებ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების შესახებ უმაღლეს რადაში 31 აგვისტოს იმსჯელებენ.

# მარსზე ადამიანის პირველი ექსპედიცია 2030 წლისთვის იგეგმება

ნასამ უნიკალური ექსპერიმენტი დაიწყო. ამერიკელი მეცნიერები იმის გარკვევას შეეცდებიან, შეძლებენ თუ არა ადამიანები მარსის მსგავს პირობებში ცხოვრებას. ამისთვის 6-კაციანი ჯგუფი ჰავაის კუნძულებზე სრულ იზოლაციაში ერთი წელი იცხოვრებს. ჯგუფი მაუნა-ლოას მძინარე ვულკანის ზედაპირზე დაბანაკდა.



ექსპედიციაში სამი მამაკაცი და სამი ქალი მონაწილეობს. მათგან ორი — საფრანგეთისა და გერმანიის, ოთხი კი ამერიკის მოქალაქეა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ექსპერიმენტი ხელს შეუწყობს, მოამზადონ მარსზე ადამიანის პირველი ექსპედიცია, რომელიც 2030 წლისთვის იგეგმება.

პროექტში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი კონკურსის შედეგად შეარჩიეს. ისინი პროფესიით ასტრობიოლოგი, ფიზიკოსი, მფრინავი, ექიმი, ჟურნალისტი და არქიტექტორი არიან.

ექსპერტების აზრით, ადამიანის დაჯდომა მარსზე და იქ დაგეგმილი მისია მინიმუმ 3 წელი მაინც გასტანს, შესაბამისად, ასტრონავტები მზად უნდა იყვნენ რთულ პირობებში მუშაობისათვის. გუმბათოვანი ნაგებობა ანალოგიურია მარსის კოსმოსური სადგურისა — იგი 11 მ დიამეტრისა და 6 მ სიმაღლისაა. აქ არ არის სუფთა ჰაერი, 6 ადამიანისაგან შემდგარი მარსის გუნდი იცხოვრებს ვიწრო ოთახებში, სადაც მხოლოდ საწოლი და პატარა მაგიდაა მოთავსებული. კვების რაციონშია ყველის ფხვნილი და თევზის კონსერვები. ასტრონავტები სადგურის გარეთ სკაფანდრებით იმოძრავებენ. ვულკანის კრატერის ნიადაგი საკმაოდ მიმსგავსებულია მარსის ზედაპირს.

ნასას განცხადებით, მთავარი ფაქტორი აქ ადამიანთა შორის ურთიერთობებია, ის სავარაუდო კონფლიქტები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დიდი ხნის განმავლობაში შემოსაზღვრულ ვიწრო სივრცეში მცხოვრებ ადამიანებს შორის.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## კალეიდოსკოპი



### ჭიქის თავსახური ცხვირისა და ტუჩებისთვის

სამხრეთკორეელმა დიზაინერმა ჩან ვუ-სოკმა იმ ჭიქების თავსახურების ახლებური დიზაინი წარმოადგინა, რომლებსაც ჩვეულებრივ კაფეებში კლიენტებისთვის გასატანებლად გამოიყენებენ. მისი გამოგონება ადამიანის ცხვირისა და ტუჩების ფორმას იმეორებს, რაც ასეთ ჭიქასთან შეხებას კოცნას ამსგავსებს.

დიზაინერის თქმით, თუ ადამიანებს შეუძლიათ, ყოველ დილით დალიონ ჭიქა ყავა, კოცნის შემთხვევაში ყველაფერი არც ისე მარტივადაა.

— მე მიყვარს ყავაც და კოცნაც. ყავას ყოველ დილით ვსვამ, მაგრამ ვკოცნი იშვიათად, — განაცხადა დიზაინერმა, რომელმაც თავის გამოგონებას „გასატანებელი კოცნა“ დაარქვა.

დიზაინერი მიიჩნევს, რომ ცხვირი და ტუჩები ჭიქის თავსახურზე საკმაოდ თავშესაქცევად გამოიყურება. ჯერჯერობით მისი გამოგონება მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარადაა წარმოდგენილი, მაგრამ სამხრეთკორეელს იმედი აქვს, რომ მომავალში რომელიმე კომპანიასთან მოახერხებს კონტრაქტის გაფორმებასა და გამოგონების სერიულ წარმოებაში ჩაშვებას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# დრეზდენში ლტოლვილთა მხარდამჭერი აქცია გაიმართა

დრეზდენში მიგრანტთა მხარდამჭერი აქცია გაიმართა. არალეგალთა მხარდამჭერ მსვლელობებში 5 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. ისინი ხელისუფლებისგან ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი მიგრანტების დახმარებას მოითხოვდნენ. აქცია „ანტირასისტური ალიანსის“ მიერ იყო ორგანიზებული. მოგვიანებით მსვლელობებს ლტოლვილებიც შეუერთდნენ.

ამ დროისათვის გერმანიაში ლტოლვილთა რეკორდული რაოდენობა ფიქსირდება. მხოლოდ მიმდინარე წელს ქვეყნის ხელისუფლებას თავშესაფრის მიცემის თხოვნით 800 ათასამდე მიგრანტმა მიმართა. სამდე ლტოლვილმა სთხოვა.

გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი ევროპის ქვეყნებს ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებისკენ მოუწოდებს. აღნიშნული განცხადება გაეროს გენმდივანმა მიგრანტებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ტრაგედიების ფონზე გააკეთა და აღნიშნა, რომ მიგრანტების დამატებითი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად ერთობლივი პოლიტიკური მიდგომაა საჭირო.

— მოვუწოდებ ყველა სახელმწიფოს, გაზარდოს უსაფრთხო და ლეგალური არხები მიგრანტებისთვის. მოეპყრან მათ ჰუმანურად და თანაგრძნობით, მოაგვარონ მათი პრობლემები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს ადამიანთა ტრაგედიაა, რომელიც სასწრაფოდ გადამწყვეტი პოლიტიკური ქმედებებისკენ მოგვიწოდებს, — განაცხადა პან გი მუნმა.




უნგრეთის ლტოლვილთა ბანაკებიდან მიგრანტები მასობრივად გარბიან. ამის გამო როსკეს თავშესაფარში საპოლიციო ზედამხედველობა გამკაცრდა. სამართალდამცავებმა ბოლო 24 საათის განმავლობაში გაქცევის მცდელობისთვის 30-მდე მიგრანტი დააკავეს, რამდენიმე მათგანმა კი გაქცევა შეძლო.

ლტოლვილები თითის ანაბეჭდების აღებას გაურბიან, რადგანაც უნგრეთიდან ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გადასვლის შემთხვევაში მათ უკან დააბრუნებენ. ამის გამო თავშესაფრებიდან გაქცევის შემთხვევებმა იმატა. ბოლო 3 თვის განმავლობაში უნგრეთის პოლიციამ სერბეთის საზღვარზე 140 ათასამდე ლტოლვილი დააკავა, მხოლოდ აგვისტოში კი უნგრეთს თავშესაფარი 39 ათასამდე ლტოლვილმა სთხოვა.

შეგახსენებთ, ბოლო ორი დღის განმავლობაში ევროპის ტერიტორიაზე მოხვედრის მცდელობისას ასეულობით ადამიანი დაიღუპა.

71 ცხედარი სამართალდამცველებმა ავსტრიაში სატვირთო ავტომობილში იპოვეს, ხმელთაშუა ზღვაში ორი ნავის ჩაძირვის შედეგად კი 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ამ დროისთვის მაშველებმა მხოლოდ 100-მდე ცხედარი აღმოაჩინეს.

მოამზადა
გერა მამულაშვილმა


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### მკურნალობა

- „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# დინამო უდანაკარგოა, საბურთალომ უმაღლესში პირველი მატჩი წააგო

საქართველოს ჩემპიონატის მე-3 ტური დედაქალაქური დერბით დაიწყო და უფრო გამოცდილმა „დინამომ“ იოლად დაამარცხა ახალგაზრდული „საბურთალო“.

**„დინამო“ – „საბურთალო“ 4:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ცინცაძე (8), 2:0 ქვილითაია (20), 3:0 ჭანტურიშვილი (55), 4:0 ა. იაშვილი (60)

**„დინამო“:** ბეგაშვილი, კაკაბაძე, გველესიანი, ფერეირა, თევზაძე, ცინცაძე (ჯანელიძე 63), ჭანტურიშვილი, პარუნაშვილი, კიტეიშვილი (ჯიღაური 67), ა.იაშვილი, ქვილითაია (არაბული 56)

**„საბურთალო“:** ქურდაძე, ნ.იაშვილი, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, გოშთელიანი, ხარაიშვილი (სოფრომაძე 63), დვალი (კოხრეიძე 65), ჩაბრაძე, ნადარაია, ალთუნაშვილი, ფანცულაია (ბიძინაშვილი 62)

დედაქალაქური კლუბების დაპირისპირება მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და გია გეგუჩაძის შეგირდებმა თითო ტაიმში 2-2 გოლი გაიტანეს.

სათამაშო კლასსა და გამოცდილებაში „დინამო“ „საბურთალოს“ რომ სჯობდა, ეს გასაკვირიც არ არის. თუმცა, გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდსაც ჰქონდა. საბოლოოდ, გამოუცდელობამ თავისი გაიტანა — იყო ეპიზოდები, სადაც სტუმრები ელემენტარულ სიტუაციაში ცდებოდნენ.

არ უთამაშია ლაშა თოთაძეს, რაც „საბურთალოსთვის“ სერიოზული დანაკლისი იყო.

მატჩის დებიუტშივე მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს, რომელიც ცინცაძემ გოლად აქცია. მალევე დინამოელებმა კიდევ ერთხელ მოახერხეს სტუმრების კარის აღება — ორამდე ანგარიში ქვილითაიამ გაზარდა.

პირველ ტაიმში საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა, მეორეში კი საბურთალოელები უფრო თამამად უტევდნენ და ნელ-ნელა მეტოქის საჯარიმოს გაუშინაურდნენ. 48-ე წუთზე სტუმრებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, ხარაიშვილმა დვალი მოძებნა, რომლის დარტყმული ჯერ მეკარე ბეგაშვილმა, შემდეგ კი ძელმა მოიგერია.

გოლი კი ისევ „დინამომ“ გაიტანა — დაცვაში უხეში შეცდომით ჭანტურიშვილმა კარგად ისარგებლა, რომელმაც 55-ე წუთზე თავისიანების უპირატესობა სოლიდური გახადა. რამდენიმე წუთში კი „საბურთალოს“ მეკარე ქურდაძემ ითამაშა საიმედოდ, რომელმაც კიტეიშვილის ძლიერად დარტყმული მოიგერია.



მალე დინამოელებმა მეოთხედ შეარხიეს სტუმრების კარის ბადე — გოლი გამოცდილმა და ვეტერანმა ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა.

„დინამომ“ სამიდან ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა, ამასთან, ყველა მატჩში 4-4 გოლი გაიტანა. რაც შეეხება „საბურთალოს“, საწყისი ორი გამარჯვების შემდეგ დედაქალაქური კლუბი პირველად დამარცხდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 12-1 | 9 |
| 2.სამტრედია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3.საბურთალო | 3 | 2 | 0 | 1 | 3-5 | 6 |
| 4.დინამო (ბთ) | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| 5.დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6.ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 7.სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.ცხინვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 9.ჩიხურა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 10.შუქურა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11.გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12.ზუგდიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 13.კოლხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 14.ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 15.მერანი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |
| 16.საპოვნელა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

# ძიუდოისტთა 3 ბრინჯაო მსოფლიოს ჩემპიონატიდან

ძალიან უხეიროდ გამოვიდნენ საქართველოს ნაკრების ძიუდოისტები ასტანაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ერთი გუნდური და ორი პირადი ბრინჯაო — ასეთია ჩვენების მონაგარი.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდურ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლისთვის გერმანია დაამარცხა 4:1. მანამდე ძირითად ბადეში ქართულმა გუნდმა ორი შეხვედრა ჩაატარა. პირველ წრეში ტუნისი 4:1 დაამარცხა, მეოთხედფინალში კი მონღოლეთთან მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილების გამო 2:3 წააგო და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც დაძაბულ ბრძოლაში რუსეთს აჯობა — 3:2.

პირად პირველობაში პირველი მედალი ჩვენებიდან ვარლამ ლიპარტელიანმა მოიპოვა. 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქართველი ძიუდოისტი თანამემამულე ბექა ღვინიაშვილს რეპეშაჟის ფინალში დაეჭიდა და ქართული დაპირისპირების ბედი მეხუთე წუთზე შესრულებულმა სუფთა გდებამ გადაწყვიტა. თუმცა, იქამდე ლიპარტელიანმა თანაგუნდელისთვის ვაზარის აღებაც მოასწრო.



არადა, ძირითად ბადეში კი უფრო შედეგიანად ღვინიაშვილმა იჭიდავა — 19 წლის ძიუდოისტმა 4 შეხვედრა მოიგო, აქედან 3 სუფთად და ნახევარფინალამდე მივიდა. ოქროსკენ მიმავალი გზა ბექა ღვინიაშვილს რუსმა კირილ დენისოვმა გადაუკეტა — რუსმა 3 წუთში 2 ვაზარი შეასრულა.

ამ წონის ჩემპიონმა, კორეელმა დონგ ჰან გვაკმა გამოთიშა უმაღლესი სინჯის მედლისთვის ბრძოლას ვარლამ ლიპარტელიანი. ეს მეოთხედფინალში მოხდა, სადაც აზიელმა იუკოთი იმარჯვა.

მეოთხედფინალამდე ლიპარტელიანმა სამი ეტაპი დაძლია, ხოლო რეპეშაჟის ნახევარფინალში ლიპარტელიანმა გერმანელი აარონ ჰილდებრანდი ორ წუთში ვაზარიზე დასცა და უმალ შებოჭა, შემდეგ კი ღვინიაშვილსაც აჯობა და ზედიზედ მეორედ დაეუფლა მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს.

ლიპარტელიანის ბრინჯაოს იმავე სინჯის მედალი ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე) მიამატა.

ოქრუაშვილმა ოქროს შანსი ნახევარფინალში დაკარგა, სადაც იაპონელ რიუ სიჩინოესთან წააგო.

მანამდე ოქრუაშვილმა ძირითად ბადეში პოლონელ მაციეჟ სარნაცკის ვაზარით აჯობა, მერვედფინალში ჩეხი მიხალ ჰორაკი არასრულ 4 წუთში გააკრა ტატამს. დაახლოებით იგივე დრო დასჭირდა მეოთხედფინალში გერმანელი სვენ ჰაინლეს ბეჭებზე დასაგდებად.

რეპეშაჟის ფინალში ოქრუაშვილი გერმანელ ანდრე ბრეიტბარტს შეხვდა და პოდიუმის მესამე საფეხურზე ვაზარით ავიდა.

მედლამდე ყველაზე ახლოს 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ავთანდილ ჭრიკიშვილი იყო, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლა დათმო.

სხვა ძიუდოისტებისთვის მედლებისთვის ბრძოლა ნაადრევად შეწყდა. ასტანაში იჭიდავეს: ამირან პაპინაშვილმა (60კგ), ლაშა შავდათუაშვილმა და ნუგზარ ტატალაშვილმა (73), უშანგი მარგიანმა (81), ლევან მატიაშვილმა (მძიმე) და ერთადერთმა ქალმა ძიუდოისტმა ესტერ სტამმა.

მამაკაცთა არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 113 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა.



# ინგლისური პრესა ქართველებს — გამოფხიზლდით!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადების ეტაპის პირველ მატჩში „ნიუკასლ მალკონზთან“ 7:27 დამარცხდა — ეს გამოსაფხიზლებლად საგანგაშო ზარი უნდა იყოს. ასე წერდა ინგლისური მედია საქართველოს ნაკრების მარცხზე. მართლაც, „ბორჯღალოსნებმა“ ძალიან უღიმღამოდ ითამაშეს.

ჩვენმა სამწვრთნელო შტაბმა სამატჩო რაზმში 30 მორაგბე შეიყვანა და მატჩის მსვლელობისას ყველას მისცა სათამაშო დრო.

შემდეგ საკონტროლო მატჩად „ბორჯღალოსნები“ კანადას ტესტს ეთამაშებიან.

# შედეგები

**29 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-არსენალი | 0:1 |
| ასტონ ვილა-სანდერლენდი | 2:2 |
| ბორნმუთი-ლესტერი | 1:1 |
| ჩელსი-კრ.პალასი | 1:2 |
| ლივერპული-ვესტ ჰემი | 0:3 |
| სიტი-უოტფორდი | 2:0 |
| სტოკი-ვესტ ბრომვიჩი | 0:1 |
| ტოტენჰემი-ევერტონი | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-0 | 12 |
| 2.კრ.პალასი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3.ლესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 4.მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 5.არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 6.ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 2-3 | 7 |
| 7.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-6 | 6 |
| 8.სუონსი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 9.ევერტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 10.ნორვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 11.ბორნმუთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 12.ასტონ ვილა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 13.ჩელსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 15.ტოტენჰემი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |
| 16.უოტფორდი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| 17.სტოკი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 18.ნიუკასლი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 19.საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 20.სანდერლენდი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-10 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| დერბი-ლიდსი | 1:2 |
| ბრენტფორდი-რედინგი | 1:3 |
| ბრისტოლი-ბარნლი | 1:2 |
| ჰადერსფილდი-ქპრ | 0:1 |
| ჰალი-პრესტონი | 2:0 |
| იფსვიჩი-ბრაიტონი | 2:3 |
| მილტონი-ბირმინგემი | 0:2 |
| ნოტინგემი-კარდიფი | 1:2 |
| როტერჰემი-ფულემი | 1:3 |
| უენსდი-მიდლსბრო | 1:3 |
| ვულვზი-ჩარლტონი | 2:1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სოსიედადი-ხიხონი | 0:0 |
| ბარსელონა-მალაგა | 1:0 |
| სელტა-რაიო | 3:0 |
| რეალი-ბეტისი | 5:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2.ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3.რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-0 | 4 |
| 4.ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 5.ეიბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 6.ატლეტიკო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 8.სოსიედადი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 9.ხიხონი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 10.დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.სევილია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.ვალენსია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 13.მალაგა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 14.რაიო | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 15.ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 16.ლევანტე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 17.ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18.ხეტაფე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 19.ლას პალმასი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 20.გრანადა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუგო-ლიაგოსტერა | 1:0 |
| ალბასეტე-ჰუესკა | 1:1 |
| ხირონა-ნუმანსია | 2:3 |
| ლეგანესი-კორდობა | 3:1 |
| სარაგოსა-ალმერია | 3:2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ინგოლშტადი | 0:1 |
| დარმშტადი-ჰოფენჰაიმი | 0:0 |
| კიოლნი-ჰამბურგი | 2:1 |
| მაინცი-ჰანოვერი | 3:0 |
| შტუტგარტი-აინტრახტი | 1:4 |
| ბაიერნი-ლევერკუზენი | 3:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| 2.ვოლფსბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3.კიოლნი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 4.დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 5.მაინცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 6.ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 7.ინგოლშტადტი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-4 | 6 |
| 8.აინტრახტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 9.ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10.შალკე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11.დარმშტადტი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 12.ჰამბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 3 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 14.აუგსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 15.ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 16.ჰანოვერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 17.გლადბახი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| 18.შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-10 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დუისბურგი-ფიურტი | 2:2 |
| პადერბორნი-არმინია | 1:2 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ბოლონია-სასუოლო | 0:1 |
| მილანი-ემპოლი | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სასუოლო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 5-2 | 3 |
| 3.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 4.ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5.ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.ტორინო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.პალერმო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.უდინეზე | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 10.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 11.ვერონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13.ფროსინონე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 14.ნაპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 16.ჯენოა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 17.იუვენტუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18.ბოლონია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19.კარპი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-5 | 0 |
| 20.ემპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| კაენი-ლიონი | 0:4 |
| ანჟე-ნიცა | 1:1 |
| ლილი-აიაჩო | 1:0 |
| რეიმსი-ლორიანი | 4:1 |
| ტრუა-მონპელიე | 0:0 |
| რენი-ტულუზა | 3:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეიმსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 2.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 4-0 | 9 |
| 3.რენი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 4.ანჟე | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| 5.ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 6.ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 7.ნანტი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 8.კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-6 | 6 |
| 9.მონაკო | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 10.ნიცა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 11.ლილი | 4 | 1 | 2 | 1 | 1-1 | 5 |
| 12.სტ.ეტიენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 13.ტულუზა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 14.მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-4 | 3 |
| 15.გენგამი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-5 | 3 |
| 16.ტრუა | 4 | 0 | 3 | 1 | 3-9 | 3 |
| 17.ბორდო | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 18.ლორიანი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 19.მონპელიე | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |
| 20.გაზელეკი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| მეცი-ევიანი | 2:1 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-გრონინგენი | 2:0 |
| ექსელსიორი-გრააპსხაპი | 3:0 |
| ჰერენვენი-ზვოლე | 1:1 |
| ჰერაკლესი-ტვენტე | 2:0 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| სეტუბალი-რიუ ავე | 2:2 |
| პორტუ-ეშტორილი | 2:0 |
| ბენფიკა-მორიერენსე | 3:2 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო-უფა | 2:0 |
| ზენიტი-კრილია | 1:3 |
| სპარტაკი-ანჟი | 1:3 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სელტიკი-სტ.ჯონსონი | 3:1 |
| დანდი-ინვერნესი | 1:1 |
| ჰამილტონი-ჰართსი | 3:2 |
| მოზერველი-კილმანროკი | 1:0 |
| პარტიკი-აბერდინი | 0:2 |
| როსი-დ.იუნაიტედი | 2:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუგანო-ლუცერნი | 0:1 |
| ვადუცი-სტ.გალენი | 1:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ადმირა-აუსტრია | 0:1 |
| გროდიგი-რიდი | 4:1 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 2:4 |

**ბელგია. პრო ლიგა**

| | |
|---|---|
| ლეუვენი-სტ.ტრუიდენი | 1:0 |
| მუსკრონი-კორტრაიკი | 0:1 |
| ოსტენდე-ვარეგემი | 0:2 |
| გენტი-მეხელენი | 2:2 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| პანთრათიკოსი-ვერია | 0:2 |
| ქსანთი-აეკი | 0:0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბასაკშეჰირი-ბურსა | 2:1 |
| გენჩლერი-ქაშიმპაშა | 1:0 |
| ქონია-გალათასარაი | 1:4 |
| მერსინი-ქაისერი | 1:2 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| პიასტი-ლეჩნა | 3:0 |
| ზაგლებიე-რუხი | 3:1 |
| კორონა-პოგონი | 1:1 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ჰოვერლა-სტალი | 0:0 |
| ვოლინი-ოლიმპიკი | 1:0 |
| ვორსკლა-მეტალისტი | 1:0 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სონდერიისკე-ვიბორგი | 2:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| დიურგარდენი-ჰალშტადი | 4:2 |
| ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი | 0:1 |
| იორებრო-ჰაკენი | 2:0 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ვიკინგი-სანდერფიორდი | 2:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ინტერი-როვანიემი | 2:0 |
| კტპ-იარო | 1:0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible] 100%-იანი. [illegible]

[illegible] 1-ლი სართ, ოთ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38



# როგორ ვუმკურნალოთ გასტრიტს ხალხური მეთოდით

კუჭში საკვები ნივთიერების მონელება ფერმენტების გავლენით ხორციელდება. მათი აქტიური მოქმედებისათვის საჭიროა კუჭის წვენის მარილმჟავა, შემდეგ საჭმლის მონელება ნაწლავებში გრძელდება და ნაწილობრივ ხდება ნივთიერებების შეწოვა.

გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებაა, მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ზედმეტი რაოდენობით მიღებული საჭმელი, ზედმეტად ცხიამიანი კერძი, შაშხი, ძნელად მოსანელებელი ბოსტნეული, მკვახე ხილი.

დაავადების მიმდინარეობის მიხედვით არსებობს გასტრიტის მწვავე და ქრონიკული ფორმები.

მწვავე გასტრიტი უფრო დაღლილ და მშიერ ადამიანს ემართება. უჩვეულო საკვებს მეტი ზიანის მოტანა შეუძლია. ასე ემართება თუ ადამიანი შეჭამს უხარისხო პროდუქტს, ან თუ კერძს შეერევა რაიმე უცხო ნივთიერება.

ავადმყოფური მოვლენები სწრაფად ვითარდება ჩვეულებრივ საჭმლის მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. ავადმყოფს აქვს გულისრევა, სიმძიმის, ზოგჯერ კი ტკივილის შეგრძნება კუჭის არეში. ამას მოსდევს პირღებინება, რომელიც შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს. ბევრს აღენიშნება ფაღარათი და ტკივილი მუცელში. ტოქსიკოინფექციის შემთხვევაში მატულობს სხეულის ტემპერატურა, ადამიანს იპყრობს საერთო სისუსტე.

ქრონიკული გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსისა და კუჭის წვენის გამომყოფი ჯირკვლების ანთებითი დაავადებაა. იგი დაკავშირებულია მთელ რიგ მავნე ფაქტორებთან. ერთ-ერთი მათგანია კვების რეჟიმის დარღვევა, როდესაც ადამიანი მთელი დღე არაფერს ჭამს და მერე ერთბაშად ვახშმად მიიღებს საკვების დიდ რაოდენობას.

გასტრიტის განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე უხარისხო, უხეში, მშრალი საჭმელი, ზედმეტად მსუქანი, ერთგვაროვანი საკვები, ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს წევა. მაგრამ არც თუ იშვიათად ავად ხდება ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის ნორმალურად იკვებებოდა. ერთგვარი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობასაც.

სეკრეციის მჟავიანობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ 4 სახის მდგომარეობა:

1. მომატებული მჟავიანობა, ანუ ჰიპერაციდული მდგომარეობა;
2. კუჭის წვენის მჟავიანობა ნორმის ფარგლებში – ნორმაციდული მდგომარეობა;
3. კუჭის წვენის მჟავიანობა დაქვეითებული – სუბაციდური მდგომარეობა;
4. კუჭის წვენის გამომუშავება უკიდურესად დაკნინებულია და იგი სრულებით აღარ შეიცავს მარილმჟავს – ანაციდური მდგომარეობა, ანუ კუჭის აქილია.



ხალხური მედიცინით მკურნალობა – გასტრიტი კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობით

– კომბოსტოს ახლადგამოწურული წვენი გამოიყენება დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, წყლულოვანი, ღვიძლისა და ელენთის დაავადებების დროს. ღებულობენ 12 ჭიქა წვენს 30 წუთით ადრე ჭამამდე თბილი სახით.

– პირშუშხას ფესვებს ხეხავენ სახეხზე და წურავენ. ღებულობენ 1 ჩაის კოვზს ჭამამდე 20 წუთით ადრე. პირშუშხას წვენი აძლიერებს კუჭის წვენის გამოყოფას.

– სვამენ 14 ჩაის ჭიქა შავი მოცხარის ცოცხალ წვენს დღეში 3-ჯერ.

– 1 ჩაის კოვზი ხახვის ცოცხალი წვენის მიღება დღეში 3-4-ჯერ საუკეთესო საშუალებაა კუჭის ანთებითი პროცესების დროს.

– 1 სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი დამატებული 1 ჩაის ჭიქა ცივ წყალში მიღებული უზმოზე, შველის დაბალ მჟავიანობას, ამცირებს არტერიულ წნევას და აკლებს წონაში.

– 1 სუფრის კოვზი თაფლი გახსნილი ცივ წყალში ამაღლებს მჟავიანობას.

– მრავალძარღვას ცოცხალი წვენი – 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ ჭამამდე ამაღლებს მჟავიანობას.

მშრალი ფოთლებისაგან კი ამზადებენ ნახარშს ან ნაყენს და ღებულობენ დღეში 3-ჯერ 12 ჩაის ჭიქას ჭამამდე 15 წუთით ადრე.

როდესაც კუჭის წვენის მჟავიანობა ნულზეა, ამზადებენ ასეთ წამალს:

მკურნალობას ჭირდება 1 ვედრო ძახველი. ფრთხილად აცლიან წითელ კენკრას. იღებენ 3 ლიტრიან 3 ქილას და ავსებენ კენკრით. სამივეს ასხამენ ცივ წყალს. თავზე აფარებენ მარლას. აჩერებენ ოთახში 10-12 დღე. შემდეგ ქილებს დგამენ მაცივარში ქვედა თაროზე და ნომრავენ. ღებულობენ 50 მლ წვენს ჭამის წინ. ჯერ პირველი ქილიდან სვამენ, რომ დაიცლება, ისევ ავსებენ წყლით და აჩერებენ. სმას აგრძელებენ მეორე ქილიდან. ისიც რომ დაიცლება, ავსებენ წყლით და გადადიან მესამე ქილაზე. ამ სითხეს იქამდე სვამენ, სანამ კენკრას ფერი არ დაეკარგება. თუ საჭიროა კურსს იმეორებენ. გარდა იმისა, რომ ძახველის კენკრა მჟავიანობას მატებს, მასში არის უამრავი ვიტამინი.

ხალხური მედიცინით მკურნალობა – გასტრიტი კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობით

– კარტოფილის ცოცხალი წვენის მიღება 12 ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ ჭამის წინ, ადაბლებს მჟავიანობას.

– თაფლს ხსნიან თბილ წყალში და ღებულობენ დილით უზმოზე და ღამე ძილის წინ.

– სტაფილოს ცოცხალი წვენის მიღება (1 ჩაის ჭიქა) 1 საათით ადრე ჭამამდე დღეში 2-3-ჯერ შველის კუჭის წვენის მაღალ მჟავიანობას.

– ბორჯომის წყალი თბილი სახით (გაზგაცლილი) შველის მაღალ სიმჟავეს.

– ფარსმანდუკი – 2 სკ. კრაზანა – 2 ს.კ. გვირილა – 2 ს.კ. პიტნა – 2 ს.კ. ქრისტესისხლა – 1 ს.კ. ურევენ კარგად და 1 სუფრის კოვზ ბალახს ადუღებენ 1 ჩაის ჭიქა წყალში.

მიღება: 13 ჭიქა დღეში 4-ჯერ ჭამის წინ.

კალეიდოსკოპი

## კანადელმა წყვილმა ბავშვის ჩასახვის კომედიური რგოლი გადაიღო



კანადის ქალაქ ტორონტოს მცხოვრებმა წყვილმა ჯენიმ და კელვინმა განაცხადეს, რომ მათ ოჯახში მატება იქნება და ამის აღსანიშნავად ბავშვის ჩასახვისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლი გადაიღეს.

ვიდეო, რომელშიც ცოლი კვერცხუჯრედის, ხოლო ქმარი სპერმატოზოიდის კოსტიუმებში არიან წარმოდგენილნი, იუთუბიზე იქნა განთავსებული და მან ერთ დღეში 16 ათასი ნახვა მოაგროვა.

რგოლს ეწოდა „ჯენისა და კელვინის პირველი სექსვიდეო“ და ქალის კვერცხუჯრედისა და მამაკაცის სპერმატოზოიდის „გაცნობის“ ისტორიას წარმოადგენს. სპერმატოზოიდის კოსტიუმში გამოწყობილი კელვინი „დასდევს“ კვერცხუჯრედის კოსტიუმში გამოწყობილ ჯენის და სხვა კონკურენტ სპერმატოზოიდებთან ბრძოლაში, ბოლოს და ბოლოს, პირველი აღწევს მიზანს.

ვიდეო მთავრდება შეტყობინებით „2016 წლის გაზაფხულზე მოვალ“, რაც იმას მიანიშნებს, რომ ბავშვი სწორედ ამ დროს დაიბადება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## fcnhjghjuyjpb

31 აგვისტოსათვის



**ვერძი** – სერიოზული პროვოკაციებისა და კონფლიქტების დღეა. გარშემომყოფები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **კურო** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. აუცილებლად გჭირდებათ განმარტოება. კომფორტულად თავს მხოლოდ ბავშვებთან ურთიერთობისას იგრძნობთ. **ტყუპები** – შეუფერებელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **კირჩხიბი** – სრული ჰარმონია გაქვთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერული თვალსაზრისით. ნებისმიერი წამოწყება წარმატებული იქნება. **ლომი** – დღის პირველი ნახევარი კონფლიქტური და დაძაბული იქნება. თქვენი მეგობრული ბუნებისა და სიცოცხლის სიყვარულის წყალობით ადამიანებს ბედნიერებას ანიჭებთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი, მშვიდი დღეა. შესაძლოა, ახალი სამსახური იშოვოთ ან შემოქმედებითი არეალი გაიფართოოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი, რთული დღეა. ნოსტალგია გიპყრობთ. ძველ მეგობრებთან შეხვედრა ჰაერივით გჭირდებათ. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ასევე მოგზაურობისა და მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – კონფლიქტური დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. თქვენთვის არასასურველი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. კარიერაში წინსვლაა მოსალოდნელი. **მერწყული** – ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ. მათ ანკესზე წამოგება კარგს არაფერს გიქადით. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **თევზები** – წვრილმან უსიამოვნებებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში.

უბცე3eტ,ს ,ტcყბტ3 cქtც=

## გეების ნიშნობას ეკლესიაში ოვაციით შეხვდნენ

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინში ადგილობრივმა მცხოვრებმა თავის მეგობარს ხელი ადგილობრივ მეთოდისტურ ეკლესიაში სთხოვა, რომელიც ფორმალურად ერთსქესიანთა ქორწინებას კრძალავს.

36 წლის ტრევორ ჰარპერი რამდენიმე თვე გეგმავდა 30 წლის დევის კოვინისთვის ხელის თხოვნას, რომელსაც ექვსი წლის განმავლობაში ხვდებოდა. დახმარება ამ საქმეში ოსტინის პირ-



ველი გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის პასტორმა შესთავაზა, სადაც წყვილი ორი წელი დადიოდა, იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად რელიგიური ორგანიზაცია არ მიესალმება გეიქორწინებებს და არ შეუძლია, ერთსქესიანთა დაქორწინების ცერემონია ჩაატაროს.

ეკლესიის მეთაურმა რევერენდ რაიტმა სამლოცველოში ნიშნობის გამართვის ნებართვა მისცა.

ეკლესიაში მორიგი მისვლის დროს ჰარპერმა კოვინის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელი სთხოვა. მან მისი წინადადება მიიღო, რის შემდეგაც იქ დამსწრენი სკამებიდან წამოდგნენ, რათა აპლოდისმენტებით გამოეხატათ თავიანთი მხარდაჭერა გეიწყვილის მიმართ.

ჰარპერს იმედი აქვს, რომ 2016 წელს, როდესაც მათი სამოქალაქო ქორწინება შედგება, უკვე ეკლესიაშიც ნებადართული იქნება გეიწყვილების საეკლესიო ჯვრისწერის გამართვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ცhიფყeჯ3cბ



1. ნიავი; 2. მცირე არია; 3. იაპონური თეატრი; 4. ფელამუში; 5. ლმობიერი, გულკეთილი; 6. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული ირანში; 7. მეექვსე ნოტი; 8. ... უკრაინკა; 9. თხის ჯოგი; 10. დროის მონაკვეთი კრივში; 11. ნანული სარაჯიშვილის კინოროლი; 12. ცდის გარეშე; 13. ადამიანის უძველესი სახეობა; 14. სატურნის თანამგზავრი; 15. სოფელი კასპის რაიონში; 16. ასო „ც“-ს სახელწოდება; 17. სადამსჯელო ოპერაცია სოფლად ცარიზმის დროს; 18. მუხის ნაყოფი; 19. ბერძნული ანბანის ასო; 20. ფრანგული არაყი; 21. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 22. საიალქნე ძელი; 23. ჭურისებრი ფართოძირიანი ჭურჭელი; 24. კრივის მოედანი; 25. წერილი; 26. მალაის არქიპელაგის კუნძული; 27. ეროს ...; 28. კოლხი მედეას მამა; 29. მოკლე სატირული ლექსი; 30. ... ნინიძე; 31. ... ფრანკლინი; 32. ბრძოლა.

ობყფ ყჯვტ3იბ უფვჯმeტ.ყტ,ებ h3ჯცeჯ3cტ,ბც გფცე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბატარეა; 2. აპატრიდი; 3. მიუსერა; 5. სელადონი; 7. დიოგენი; 9. ხევსურეთი; 13. მორთული; 15. ლეჟავა; 16. ლოზანა; 18. ათოსი.

**თარაზულად:** 4. „კავასაკი“; 6. დეპრესია; 8. მაღალაშვილი; 10. ტუგრიკი; 11. ვერე; 12. „ინტერი“; 14. ალუვი; 17. პრადო; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 22. მანჭკვალა; 23. მიამიტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რენუარი; 2. მეუნარგია; 3. ხერთვისი; 4. პაუპერი; 5. ლოკალი; 9. ემისია; 11. კონკური; 12. ციცარი; 14. ვაუჩერი; 18. არავა; 19. შარკო.

**თარაზულად:** 4. „პობედა“; 5. ლოველასი; 6. „ჩელსი“; 7. გურზუფი; 8. ენისეი; 10. ეთიკა; 13. რაველი; 15. რაბინი; 16. საკე; 17. „დილა“; 20. ჩაჩავა; 21. ყინული; 22. „დავლური“; 23. კუმისი.

# ჯგუფი სახე“ დაბრუნდა

გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და პოპულარული ჯგუფი საქართველოში, ჯგუფი „სახე“ დაბრუნდა. მას შემდეგ, რაც მისი ერთ-ერთი წევრი დათო ხუჯაძე საქართველოში ჩამოვიდა და მოსკოვში აღარ ცხოვრობს, ჯგუფის წევრები დათო ხუჯაძე და დათო ფორჩხიძე ხშირად ატარებენ ერთობლივ კონცერტებს.

ამჯერად „სახე“ ბათუმელი მსმენელისთვის გაერთიანდა და ბათუმის კორტებზე კონცერტში მონაწილეობა გადაწყვიტა, სადაც ცნობილი უცხოური ჯგუფი „პოეთრი ენდ მოუშენი“ მონაწილეობს. 16 წლის წინ მათ თბილისში კინოსტუდიის ეზოში გამართეს კონცერტი და მაშინ მაყურებელი ხეზე ამძვრალი უყურებდა ჯგუფების ერთობლივ კონცერტს.



ჯგუფი „პოეთრი ენდ მოუშენ“ მაიკლ ამიერის მიერ 90-იანი წლებში დაარსებული ჯგუფია, რომელმაც საერთაშორისო წარმატებას სიმღერა „რომეო და ჯულიეტათი“ მიაღწია.

16 წლის შემდეგ ჯგუფი „სახე“ და „პოეთრი ენდ მოუშენი“ ისევ ერთად აღმოჩნდნენ სცენაზე. კონცერტზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის მისმა ორგანიზატორებმა სრულიად უფასოდ გადაწყვიტეს.

# ანა ახვლედიანი ლორეალმა“ პარიზში მიიწვია

19 წლის ქართველი მოდელი ანა ახვლედიანი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კოსმეტიკური ფირმის „ლორეალის“ პარიზის ფილიალის პრეზიდენტმა საფრანგეთის დედაქალაქში მიიწვია. თუკი ქართველი ლამაზმანი მის მიწვევას დათანხმდება, ის იმ მოდელების რიცხვს შეუერთდება, რომლებიც წლების განმავლობაში „ლორეალის“ სარეკლამო სახეები იყვნენ. კოსმეტიკური ფირმის პარიზის ფილიალის პრეზიდენტმა თავისი ოფიციალური ინსტაგრამის საშუალებით ქართველი მოდელი საჯაროდ მიიწვია პარიზში.



თავისი არსებობის განმავლობაში „ლორეალმა“ აღმოაჩინა ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც არიან ჯულიანა მური, ზოი სალდანა, ფრიდა პინტო, ბლეიქ ლაივლი, ლეტიცია კასტა, ლარა სტოუნი, ბიანკა ბალტი. სწორედ ბიანკას შემცვლელად მოიაზრებენ მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ანა ახვლედიანს.

ყველაზე დიდი და წარმატებული ნაბიჯი მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ანა ახვლედიანისთვის 500 მოდელს შორის არჩევა იყო. „ელესა“ და „ვოგის“ ფოტოგრაფმა ნიკოლა ბორისოვმა ქართველი მოდელი სწორედ 500 კონკურსანტს შორის აარჩია „დოლჩე და გაბანას“ სარეკლამო კამპანიისთვის. ანა ახვლედიანი „დოლჩე და გაბანას“ სახე გახდა.

19 წლის მოდელი საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს და საქართველოშიც აქტიურად პოზირებს ფოტოგრაფებისთვის სხვადასხვა ქართველი დიზაინერის კოსტიუმებში. უცხოეთში ანა იტალიურ სამოდელო სააგენტოსთან თანამშრომლობს. პირველად იტალიაში ქართველი მოდელი 18 წლის ასაკში მოხვდა. სამოდელო საქმიანობაში გამოუცდელობის მიუხედავად, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სხვადასხვა სამოდელო სააგენტოს ფავორიტი გახდა და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

# მაიკო კაჭკაჭიშვილი საქართველოს ტოვებს

კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი საქართველოს ტოვებს. მუსიკოსი, რომელიც არაერთი ჰიტის ავტორია, საქართველოდან მიდის. მას ამ ეტაპზე არ სურს დაკონკრეტება, სად აპირებს წასვლას, მაგრამ კონკრეტულ თარიღს კი ასაჯაროებს. ნოემბრის დასაწყისში მაიკო მეგობართან ერთად საქართველოში აღარ იქნება.

**მაიკო კაჭკაჭიშვილი:**

— ნოემბრის დასაწყისში აქ აღარ ვიქნებით მე და ერთი ჩემი მეგობარი. დიდი იმედი მაქვს, რაც აქ ვერ ან არ გავაკეთე, ან არ გამაკეთებინეს! ნუ, რა აზრი აქვს, სხვაგან გავაკეთებ.... ყოველთვის ასე ხდებოდა საქართველოში „ძაღლებიან ქვეყანაში კატებს აყეფებენ“ და მეც ნუ სხვა გზა არ მაქვს, მთელი არსებით ვგრძნობ რომ ძალიან ბევრი რამის გაკეთება შემიძლია და გავაკეთებ კიდეც! პარალელურად ტყუპებს გავუკვალავ გზას და ცხოვრებაში პირველად ვიზრუნებ უზრუნველ მომავალზე. პ.ს. ისე არ წავალ, ყველას დაგიმთავრებთ, რაც დასამთავრებელი მაქვს.



# პაატა ბურჭულაძე დაქორწინდა

მსოფლიოში ცნობილი ქართველი საოპერო ბანი პაატა ბურჭულაძე დაქორწინდა. თავისი 12-წლიანი თანაცხოვრება ანჯელა ვასილენკოსთან მან ბუდა ბარის წინ მდებარე ბორანზე ხელმოწერის ცერემონიალიც დააგვირგვინა. წყვილმა ჯვარი 10 წლის წინ დაიწერა, იურიდიულად კი დაქორწინება მხოლოდ ახლა დააკანონა.

ინფორმაცია მსოფლიო საოპერო ბანის დაქორწინების შესახებ საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გაავრცელა და ორი წლის წინანდელი ჯვრისწერის ფოტოებიც გამოაქვეყნა:

— პაატას ჯვრისწერა მსტისლავ როსტროპოვიჩის ხელდასხმით წლების წინ... ახლა კი ხელისმოწერა, მოკლედ დავაქორწინეთ... არც ვიცი, ვინმეს ასე ძალიან უყვარდეს სხვა ადამიანებისთვის დღესასწაულების მოწყობა. ეს ცერემონია ქართულ-უკრაინული ოჯახის შექმნის იურიდიული დადასტურებაა.

პაატა ბურჭულაძისა და ანჯელა ვასილენკოს ხელისმოწერის ცერემონიალის ამსახველი ფოტო კი სოციალურ ქსელში მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილმა გაავრცელა და წყვილს დაქორწინება კიდევ ერთხელ მიულოცა.



# ხაშმის სამების ბაზილიკა ინგრევა

ხაშმის სამების ბაზილიკა ინგრევა. ინფორმაციას უკრაინაში მოღვაწე ქართველი მომღერალი სოფი ვილი, იგივე სოფი ხუციშვილი ავრცელებს და ტაძრის უმძიმესი მდგომარეობის ამსახველ ფოტოებსაც აქვეყნებს:

— დიდხანს ვფიქრობდი, რით დამეწყო. სწორი სიტყვების პოვნა ახლაც მიჭირს. ბევრმა თქვენგანმა, ალბათ, ისევე, როგორც მე აქამდე, არ იცით ამ ადგილის შესახებ, რადგან ინფორმაცია ძალიან მწირია. გუშინ მოვხვდი სრულიად სხვა სამყაროში, რომლიდანაც წამოსვლა სასტიკად არ მომინდა. აღარ მომინდა ხმაურიან და დამძიმებულ თბილისში დაბრუნება და საერთოდ აღარაფერი, რაც ზედმეტ ფიქრსა და ღელვას ბადებს ჩემში.



სად არ ვყოფილვარ მონასტრებში და ტაძრებში, მაგრამ ასეთი უსასრულობა და საოცარი ენერგია მე ჯერ არსად განმიცდია. საუბარია ხაშმის (კაწარეთის) სამების ბაზილიკაზე, სადაც ვახტანგ გორგასალმა მეხუთე საუკუნეში საეპისკოპოსო კათედრა დააარსა.

მონასტრამდე მისასვლელი გზა არის იმდენად საშინელი და რთული, რომ ჩვენ წინ მიმავალი დიდი ჯიპიც კი ნახევრამდე ტალახში იყო ჩაფლული და ვეღარ განაგრძობდა გზას, საბოლოოდ ვერ ამოვიდა. ჩვენ ავედით რაღაც საოცარი, სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ, „ვეზდეხოდით“, მაგრამ საშინლად დავიტანჯეთ. დედა მეჯდა გვერდით და მითხრა, უფალთან მისასვლელი გზა ალბათ ესეთი უნდა იყოსო...



მე ვიჯექი ჩუმად და ცას ვუყურებდი. ერთ მომენტში ღრუბლებში დავინახე თეთრწვერიანი კაცის სახე. პირჯვარი გადავიწერე და განვაგრძე ფიქრი. როგორც იქნა ავედით. პირველი შთაბეჭდილება, საოცარი სიჩუმე და სიმშვიდე.

ჭიშკარი გაგვიღო დედაომ, მარიამობა მოგვილოცა და გაგვაფრთხილა, რომ კარი ღია არ დაგვრჩენოდა, რადგან მონასტრის ეზოში პატარა შველი, სახელად ციცინო დარბოდა და ნებისმიერ მომენტში შეეძლო გაქცევა.



ეზოში, რომელსაც მე-17 საუკუნის გალავანი აკრავს გარშემო, დგას ულამაზესი დიდი ბაზილიკა. მის გვერდით არის პატარა კოშკი, ტაძრის უკანა მხარეს კი დედაოების კელიებია.

გააღეს ტაძრის კარი და შესასვლელშივე ჩვენს ერთხმიან გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

პირველი რაც მომხვდა თვალში იყო უძველესი, მუქი ფერის ჭერი, რომელიც ჩანს, რომ საუკუნეებს ვაჟკაცურად უმკლავდება. ტაძრის კედლები და სვეტები შეხებისთანავე არარეალურ სამყაროში გაგდებენ, წარმოუდგენელი ხდება ის, რომ ეს სიძველე დღემდე შემორჩა და ასე ამაყად დგას. მე-14 საუკუნის ულამაზეს ფრესკებს სარქველებიდან შემოსული სინათლის სვეტები მისტიკურობას მატებენ. ერთი სიტყვით, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ტაძრიდან გამოსვლა აღარ მინდოდა.

მონასტერში ცხოვრობს სამი მონაზონი, ხუთი მორჩილი და მეუფე ლუკა. უვლიან თავის პატარა ედემის ბაღს და აკეთებენ ხისგან ლამაზ ჭურჭელს. თავისი ძალებით ინახავენ და ეფერებიან მონასტრის თითოეულ კვადრატულ მეტრს.

ძალიან ცოტა და იშვიათი მნახველები ჰყავთ. ფაქტობრივად, არავინ დადის აქ. ალბათ, ეს უფრო უნარჩუნებს მონასტერს სიმშვიდესა და უნიკალურობას. რთულად მისასვლელი და, ფაქტობრივად, მიუწვდომელია.

ტაძრის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. სვეტებზე ბზარები დღითიდღე იზრდება და აუცილებელია აღდგენითი სამუშაოების სასწრაფოდ დაწყება. გვიამბეს, რომ მათ ამ თხოვნაზე თინა ხიდაშელმა უპასუხა, სანამ მთელი სოფელი არ დაწერს განცხადებას, იქამდე ხელს არაფერს მოვკიდებთო. ჩვენ გაგვიჩნდა კითხვა, ნუთუ იუნესკო არ დაინტერესდა ამ ძეგლით?! პასუხი იყო — მიმწოდებელი არავინ გვყავსო. გასაკვირი ის არის, რომ თუ აქამდე მოაღწია და არ განადგურდა ეს საოცრება, დღეს, 21-ე საუკუნეში, ამდენი ტექნოლოგიის მეშვეობით, ხომ საერთოდ აღარ უნდა არსებობდეს ასეთი ძეგლების დაკარგვის საშიშროება?! რატომ არ ადარდებს ჩვენს მთავრობას ჩვენივე ქვეყნის სიწმინდეები და უნიკალური ადგილები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასე ცოტაღა შემორჩა.

ფოტოებში, რა თქმა უნდა, ისე არ ჩანს და არ გადმოიცემა ტაძრის მთელი სიდიადე და სასწაული, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს მოუნდება ცხოვრებაში ერთხელ მაინც ამ წმინდა ადგილზე მოხვედრა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## TV პროგრამა

**ოიშაბათი**
**31 აგვისტო**

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" **09.00** "ეს საქართველოა" **09.30** "სადილის დრო" **10.00** ტ/სერ. **"მეცამეტე მოციქული"** **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **13.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 20.40** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **16.40** "ეკონომეტრი" **17.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.30** მხ/ფ **"ჯონი ინგლიში"** **19.30** "სიტყვების თამაში" **21.40** მხ/ფ **"აპოლო 13"** (ტ.ჰენკსი) **23.45** მხ/ფ **"ჩემი ადგილი მზის ქვეშ"** **01.45** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი"

**08.00** მხ/ფ "გულის მოგზაურობა" **09.30** დ/ფ "იორდანია – უდაბნოს სამეფო" **10.00, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **11.00** ქართ მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** **12.05** დ/ფ "დიდი ბრიტანეთი" **13.00** "აფხაზეთი **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **18.00** დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **20.00** ""მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ **"იცეკვე მასთან"**

**07.30** სერ. **"მერლინი"** **08.30** სერ. **"კარმა"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბოშა ქალი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30,** ქრონიკა **11.20** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **13.00** სტუმრად იუმორინასთან **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"გზაჯვარედინი"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** სერ. **"ჟუმონგი"** **8** სერ. **23.30** შალვა რამიშვილის შოუ **00.30** მხ/ფ **"კრიმინალური სამყარო"** (რ. დე ნირო) **02.40** მხ/ფ **"დიდი ქორწილი"** (რ.უილიამსი) **04.15** ფარული კამერა **05.45** მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (ტიტ.)

**07.00, 15.40** სერ. **"ლამაზი სიზმარი"** **08.00** მხ/ფ. **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **22.00** "კომედის კონცერტი" **23.30** სერ. **"გრიმი"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია "ძეგლი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა" **06.35** პატერიკი ალსარების ცოდვათა მიტევების შესახებ **06.45** ქართული ალბომი "ჩოფიკაშვილი "ადგილი, სადაც ყველანი ერთამანეთს ვხვდებით..." **07.10** დოკ. ფ. "საქართველო ჩვენი სამშობლო" **07.45** თვენი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება "იგავი ბოროტ მევენახეზე" II **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ვედრება"** **13.30** დოკ. ფ. – ყველაფერი ქორეოგრაფიაზე – **1955** წელი – გერმანია **14.30** დოკ. ფ. "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** ბავშვები მუზეუმში **15.50** სპექტაკლი **"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"** **17.30** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"საბუდარელი ჭაბუკი"** **20.40** ძილი ნებისა "ადამი და ევა, სამი ძმა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი გლახაკთათვის გამლები ათასწილად მიიღებს **21.35** ღვთის სახლი "ტაო-კლარჯეთი" **21.50** ჩვენი ამბავი "დაკარგული ტახტის მემკვიდრე-ალ.ორბელიანი" **22.25** დოკ. ფ. "არის ასეთი ქვეყანა,მას საქართველო ჰქვია"-დმანისი **22.45** საქართველოს სამართლის ისტორია **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფ. **00.25** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ელისო ვირსალაძე" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.00,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** **8.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **10.05, 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.30 სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** **13.30 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "მფარველი ანგელოზი"** **18.30** დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" **19.05 სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.00 სერიალი "ფერფლი"** **23.00 სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** **0.30 სერიალი "სხვისი სხეული"** **2.00 სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ჳბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 აგვისტო


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3465 | ევრო — 2.6473 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6303 | 100 რუსული რუბლი — 3.5065 |

## ამინდის პროგნოზი 31 აგვისტოსათვის






## კალეიდოსკოპი

### ბრიტანელებმა შექმნეს ნაყინი, რომელიც არ დნება

დიდ ბრიტანეთში გამოიგონეს ნაყინი, რომელიც არ დნება. მას სტაფორდშირის საგრაფოში მდებარე გასართობ პარკში გაყიდიან.



აღსანიშნავია, რომ ახალი სასუსნავის რეცეპტი გასაიდუმლოებულია. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მან ტემპერატურით დამუშავება გაიარა, რისი წყალობითაც ის დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს ფორმას.

ახალი ნუგბარი „ინოვაციურ სამზარეულოში" უფროსი მზარეულის ჰესტონ ბლიუმენტალის ექსპერიმენტების შედეგად შეიქმნა. ის იმითაა ცნობილი, რომ მას თავის რესტორან „მსუქანი იხვის" სტუმრების უჩვეულო კერძებით გამასპინძლება უყვარს. მაგალითად, სხვადასხვა დროს მენიუში შედიოდა ისეთი კერძები, როგორებიცაა ლოკოკინების ფაფა, ბეკონის ნაყინი, შავი ხიზილალა თეთრი შოკოლადით, ასევე ნამცხვარი ყავისა და ნივრისგან.

### მაროკოს მეფის დამშანტაჟებელი ჟურნალისტები დააპატიმრეს

საფრანგეთში დააპატიმრეს ორი ჟურნალისტი, რომლებმაც მაროკოს მეფე მუჰამედ VI-ზე წიგნი დაწერეს. მათ ბრალად ედებათ შანტაჟის მცდელობა მეფისგან სამი მილიონი ევროს მისაღებად.

ბოროტმოქმედებმა 68 წლის ერიკ ლორანმა და კატრინ გრასიემ მაროკოს მეფეს სამი მილიონი ევრო მოსთხოვეს იმისთვის, რათა მათ თავიანთი წიგნი არ გამოუშვან, რომელშიც თითქოსდა მონარქის მაკომპრომეტირებელი ინფორმაციაა განთავსებული.



ლორანი მეფის ადვოკატს შეხვდა და მას საკუთარი მოთხოვნები გადასცა. ამის შემდეგ მაროკოს ხელისუფლებამ საფრანგეთის პოლიციას მიმართა.

ფრანგმა სამართალდამცავებმა სავარაუდო შანტაჟისტებს თვალთვალი დაუწესეს. მათ ვიდეოზე გადაიღეს ჟურნალისტებისა და მეფის წარმომადგენლის კიდევ ერთი შეხვედრა, რომელზეც მათ თანხის ნაწილი გადაეცათ. სწორედ ამ თანხით ხელში აიყვანეს ჟურნალისტები პოლიციელებმა.

### კაბა მანქანის ნაწილებისგან

ჰოლანდიელმა დიზაინერმა ანუკ ვიპრეჰტმა პლასტიკისგან შექმნა კაბების კოლექცია, რომლის დეტალებიც 3დ პრინტერზე იქნა დაბეჭდილი. ასევე ჩასაცმელებზე გამოყენებულ იქნა სედანის აუდი ა4-ს ნაწილები.



კოლექცია სულ ოთხი კაბისგან შედგება და ისინი თეთრსა და შავ ფერებშია შესრულებული. თავად დიზაინერი მათ „ფარებს" უწოდებს.

— ავტომობილისგან შეგვიძლია ავიღოთ ის, რაც მართლაც აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანსა და მანქანას, — განაცხადა დიზაინერმა.

ორ კაბაზე დამონტაჟებულია ნათურები და სენსორები, რომლებიც მაშინ ამოქმედდება, როდესაც ადამიანი ავტომობილს უახლოვდება. კიდევ ერთი კაბა შუქდიოდებითაა შემკობილი, რომლის სიმძლავრე 60 ვატია. გარდა ამისა, კაბებზე დაყენებულია ლაზერული მანძილის საზომები, რომლების მოვალეობას ამა თუ იმ ობიექტამდე მანძილის განსაზღვრა წარმოადგენს.

ერთი კაბის დამზადებას სამი დღე დასჭირდა და თითოეული მათგანი მხოლოდ კონკრეტულ მანეკენზეა მორგებული.

### 90-იანი წლების მოდელები ერთად შეკრიბეს

სუპერმოდელებმა, რომელთა კარიერის პიკი 1990-იან წლებზე მოდის, ისევ ერთ პროექტში მიიღეს მონაწილეობა. საუბარია სინდი კროუფორდზე, ჰელენ კრისტენსენზე, ევა ჰერციგოვაზე, კარენ ალექსანდერზე, ნადე აუეგმანსა და ტატიანა პატიტცზე.



გადაღებები პლაჟზე მიმდინარეობდა. პროექტის იდეა გერმანელ ფოტოგრაფ პეტერ ლინდბერგს ეკუთვნის.

— პეტერს მოწიფული ქალის სილამაზის დანახვა ეხერხება, რომელსაც გამოვლილი აქვს მშობიარობა, სიყვარული, განშორება და დაკარგვა, — განაცხადა სინდი კროუფორდმა.

სწორედ ლინდბერგი თანამშრომლობდა დიზაინერ კარლ ლაგერფელდთან და ჯორჯიო არმანისთან. ფოტოგრაფის ნამუშევრები, პრაქტიკულად, ყველა ცნობილ გამოცემაში იბეჭდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კობიაშვილმა საარჩევნო კამპანია დაიწყო



სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნები 3 ოქტომბერს გაიმართება. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ და უეფას მედიაოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ უკვე დააფიქსირეს თავიანთი სურვილი. როგორც ჩანს, მალევე მათ შეუერთდება ლევან კობიაშვილი, რომელიც საკუთარ საარჩევნო კამპანიას დღეიდან დაიწყებს.

**ლევან კობიაშვილი:**

— ორშაბათიდან ვიწყებ შეხვედრებს კლუბებთან, რეგიონულ ფედერაციებთან და ასოციაციებთან, ბოლოს მექნება შემაჯამებელი შეხვედრა ყველა თაობის ვეტერან ფეხბურთელებთან. მინდა, მათ იცოდნენ, თუ რას ვაპირებ, რას გავაკეთებ ქართული ფეხბურთისთვის და როგორია ჩემი ხედვა. სრულიად გახსნილი ვიქნები გულშემატკივრებისთვის, საზოგადოებისთვის, საფეხბურთო სამყაროსა და სრულიად საქართველოსთვის. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ ქართული ფეხბურთისთვის უკეთესი მომავლის შექმნას.

მ. ჟ.

## კალათბურთელთა ორი განსხვავებული მატჩი



ორი განსხვავებული მატჩი ჩაატარა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა იტალიაში მიმდინარე ტურნირზე. თუ მასპინძლებთან ჩვენებმა დიდებულად ითამაშეს და მხოლოდ ბოლო წამებზე დათმეს მატჩი, რუსებთან უშანსოდ გამოიყურებოდნენ.

### იტალია — საქართველო 91:90
**(24:19, 24:26, 23:25, 20:20)**

პირველ მატჩში იგორ კოკოშკოვის გუნდის მეტოქე მასპინძელი იტალია იყო, რომელმაც თბილისში რამდენიმე დღის წინ იოლად მოგვიგო — 87:67. ამჯერად ქართველებს ძალიან ცოტა დააკლდათ მასპინძლების დამარცხებამდე — იღბალმა ბოლო წამებზე აქცია ზურგი.

მთელი თამაშის განმავლობაში ქართველები ღირსეულად ეთამაშებოდნენ იტალიელებს და ტოლს არაფერში უდებდნენ. მატჩის დასრულებამდე 5:30 წუთით ადრე იგორ კოკოშკოვის გუნდი 4 ქულით — 83:79 იგებდა, თუმცა ზედიზედ შესრულებული 3 სამქულიანის შემდეგ (2 დანიელ ჰაკეტი, 1 დანილო გალინარი) იტალიელები საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე 88:83 დაწინაურდნენ.

ქართველები ბოლომდე იბრძოდნენ. ზაზა ფაჩულიას საჯარიმოების შემდეგ ანგარიში 85:88 გახდა, რასაც გიორგი ცინცაძის ზუსტ გარღვევას ჩამორჩენის 2 ქულამდე შემცირება მოჰყვა, ხოლო ვიქტორ სანიკიძემ რამდენიმე წამში სამქულიანით წინ გაიყვანა საქართველო — 90:89.

იტალიას თამაშის გადასარჩენად 20 წამი ჰქონდა და დე ლა ვალემ დასრულებამდე 9 წამით ადრე ორქულიანი ჩაგვიგდო.

ქართველებს 9 წამი ჰქონდათ შეტევისთვის და 3 სროლა ვერ გამოიყენეს. ჯერ ჯეიკობ პულენმა გააცუდა, დამატებაზე კი ზაზა ფაჩულიას ჩაგდებული ბურთი ამოვარდა კალათიდან.

საბოლოოდ 91:90 — იტალიელთა ურთულესი გამარჯვება.

### რუსეთი — საქართველო 81:69
**(26:18, 16:18, 22:10, 17:23)**

მეორე მატჩში იგორ კოკოშკოვის გუნდის მეტოქე რუსეთის ეროვნული გუნდი იყო, რომელმაც ტურნირის პირველ შეხვედრაში ამერიკის სტუდენტური ლიგის გუნდი „მიჩიგან სპარტანსი" 93:67 დაამარცხა.

რუსებმა საქართველოს ნაკრების ძლევაც მოახერხეს.

პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, რუსებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ქართველები მეტოქეს კუდში მისდევდნენ და წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ.

გარდამტეხი გამოდგა მე-3 პერიოდი, რომელშიც ქართველებმა ფეხი და მიზანი ვერ აუწყვეს გამართულად მოთამაშე რუსებს, რომლებიც ძალიან შედეგიანად უტევდნენ. მეტოქე იშვიათად აცილებდა როგორც ახლო, ისე საშუალო დისტანციიდან, ხოლო სამქულიანებს რუსები ძალიან ხშირად ესროდნენ და, შესაბამისად, მეტსაც აგდებდნენ.

მესამე პერიოდი რუსებმა 22:10 მოგვიგეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ მატჩის ბედი, ფაქტობრივად, სათავისოდ გადაწყვიტეს — 64:45.

საბოლოოდ რუსეთის ნაკრებმა 81:69 გაიმარჯვა.

მ. ჟ.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. სახეებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. ფრანგული ავტომობილი; 9. ზოგი ხეხილის ნაყოფის მაგარი თესლი; 10. საზაფხულო საძოვარი მთაში; 11. ქალის სამოსელი; 13. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 14. მდინარე კახეთში; 16. „ოტელოს" პერსონაჟი; 18. ლუწის საპირისპირო; 20. მამის ურჩი ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. საქალაქო ტრანსპორტი.

**შვეულად:** 1. სახის მიმიკის მოშლა; 2. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 3. გამანადგურებელი ქარიშხალი წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში; 4. კავკასიური მინერალური წყალი; 5. იატაკის საცხი; 7. ქალბატონი ესპანეთში; 11. ბანქო; 12. წყლისპირა რბილმერქნიანი ხე; 13. ჯგუფური გასვლა ქალაქგარეთ საჭმელ-სასმელით; 14. სახელმწიფო აზიაში; 15. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 17. უდაბნოს „ხომალდი"; 19. ქალაქის თავი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## იუმორი



კაცმა ღორი წაიყვანა ბაზარში გასაყიდად. მყიდველი ეკითხება:

— ეს ღორი რაზე გყავს გაზრდილი?

— სად მაქვს ამის საჭმელი ფული, გაშვებული მყავს და, რასაც თვითონ იპოვის, იმას ჭამს.

— აჰ, ნაგავზე გაზრდილ ღორს რა მაყიდვინებს, — თქვა მყიდველმა და წავიდა.

ცოტა ხანში სხვა მყიდველი ეკითხება:

— რითი კვებავდით ამ ღორს?

— ქატოსა და სიმინდის მეტი არაფერი მიჭმევია მისთვის.

— მაგის ხორცი გემრიელი არ იქნება, თუ ცოტა რკო და ხილიც არ აქვს ნაჭამი, — თქვა მეორე მყიდველმა და წავიდა.

ამასობაში კიდევ ერთი მყიდველი მიადგა და იგივე კითხვა დაუსვა.

— რა ვიცი, რას ჭამს, ამ შობელძაღლს ფულს ვაძლევ და თავად ყიდულობს საჭმელს...

●●●

სამი სტუდენტი გამოცდას აბარებს, ორი ნაცნობობით, ერთს კი არავინ ჰყავს მფარველი.

პირველს გამომცდელი ეკითხება:

— რომელ ქვეყანაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი?

— იაპონიაში.

— ყოჩაღ, ხუთიანი.

ეკითხებიან მეორეს:

— რომელ ქვეყანაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი?

— იაპონიაში.

— რომელ წელს?

— 1945 წელს.

— ხუთიანი.

ეკითხებიან მესამეს:

— რომელ ქვეყანაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი?

— იაპონიაში.

— რომელ წელს?

— 1945 წელს.

— რომელ ქალაქში?

— ხიროსიმაში.

— რამდენი ადამიანი დაიღუპა?

— ორას სამოცდათხუთმეტი ათასი.

— გვარები ჩამოგვითვალეთ...

●●●

რეკლამა:

„ენა გებმებათ? „რ"-ს ვერ გამოთქვამთ? იკითხეთ აფთიაქებში ახალი და ძალიან ეფექტური საშუალება იმუნოცელისტონატრიუმ-ხლოროჰიდროკარბოდონი!"

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი შეშფოთებული ეკითხება:

— ძვირფასო, სად იყავი?

— დავრბოდი.

— კი მაგრამ, მაისური რატომ გაქვს სისხლიანი და სახე დალურჯებული?

— დამეწივნენ...

●●●

სკოლაში სწავლის დაწყების პირველ დღეს მასწავლებელი პირველკლასელებს უხსნის:

— ბავშვებო, აქ სკოლაა, აქ არ შეიძლება ხმაური, თუ რაიმე გსურთ ან რაიმეს კითხვა გინდათ, ხელი უნდა ასწიოთ...

ამ დროს ერთ-ერთმა ბავშვმა ხელი ასწია.

— ბიჭუნა, რამე გინდა? — ეკითხება მასწავლებელი.

— არა, უბრალოდ, შევამოწმე, სისტემა როგორ მუშაობს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა